საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 9 აგვისტო. 2019 წ. №160 (8826) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

როგორ „ამოისუნთქა“ საქართველომ,



ანუ ძალაუფლება ყველაფრის ფასად...

7 აპრილს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ მუხათგვერდის სასაფლაოზე ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა „ჯარისკაცებმა, რომლებიც აგვისტოს ომის დროს დაიღუპნენ, საქართველოს მისცეს ამოსუნთქვის საშუალება, რათა რუსულ აგრესიას სწრაფად არ მიეღწია საკუთარი ამოცანისთვის“.

ეს სიტყვები შოთა უტიაშვილის განცხადების შერბილების მცდელობა იყო. ორი კვირის წინათ სააკაშვილის პერიოდის შს მაღალჩინოსანმა შოთა უტიაშვილმა საზოგადოებას სრულიად ახალი ნარატივი შესთავაზა აგვისტოს ომთან დაკავშირებით — „აგვისტოს ომმა, თავისი ყველა პლუს-მინუსით, საქართველოს ამოსუნთქვის საშუალება მისცა“.

ფაქტების მოყვანით გადავხედოთ ამ „პლუსებსაც“, „მინუსებსაც“ და იმ „ამოსუნთქვასაც“, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას 11 წლის განმავლობაში ვერ შეგვიფასებია.

სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა 2004 წლის იანვარში. ამ თარიღის მოცემულობით სეპარატისტულ ცხინვალში ჩასვლა შეეძლო საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, მათ შორის თავად მიხეილ სააკაშვილსაც, რომელიც 2004 წლის 2 იანვარს იყო კიდეც ცხინვალში და ადგილობრივი ოსი მილიციელების თანდასწრებით აკრიტიკებდა კოკოითის მთავრობას. სააკაშვილამდე ცხინვალში ჩადიოდნენ შევარდნაძე და მისი მთავრობის წევრები, იყო შეხვედრები სეპარატისტებთან, ხდებოდა მათი აღჭურვა სამედიცინო და სხვა ტექნიკით. ეუთოს დახმარებით მიმდინარეობდა სამშვიდობო პროცესიც და რეგიონის ინფრასტრუქტურული აღდგენის სამუშაოებიც. ერგნეთში ვაჭრობდნენ ქართველები და ოსები. ეკონომიკური ურთიერთობის პარალელურად იქმნებოდა შერეული ოჯახები. 1992 წელს დასრულებული შეიარაღებული კონფლიქტიდან გასული იყო 12 წელი და მაშინდელ ჭრილობებს იშუშებდა როგორც ქართული, ასევე ოსური მხარე. სამაჩაბლო მხოლოდ დეკლარირებულად წარმოადგენდა სეპარატისტულ „სამხრეთ ოსეთს“, რეალურად რეინტეგრაციის პროცესმა რეგიონი მჭიდროდ დააკავშირა დანარჩენ საქართველოს.

იხ. 4 გვ.

ილია მეორე მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარ რაბინს შეხვდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარ რაბინს იაკობ გაგულაშვილს და მის თანმხლებ პირებს შეხვდა. საპატრიარქოს ინფორმაციით, მიღებას ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ლაშა ჟვანია, საქართველოს ებრაელთა კავშირის თავმჯდომარე ედუარდ პალაგაშვილი, დამსახურებული სპორტული კომენტატორი და საზოგადო მოღვაწე ჯამლეტ ხუხაშვილი და სხვები.

მისმა უწმინდესობამ ქართველებსა და ებრაელებს შორის არსებულ მრავალსაუკუნოვან და სანიმუშო ძმობას გაუსვა ხაზი. მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარმა რაბინმა აღნიშნა, რომ დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ქართველებსა და ებრაელებს შორის ისტორიული მეგობრობა 26 საუკუნის წინათ დაიწყო, თუმცა მისი აზრით და ებრაულ წმინდა წიგნებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამ ურთიერთობას გაცილებით ადრე ჩაეყარა საფუძველი და თავის მხრივ დასძინა, რომ ყველაფერს გააკეთებს ჩვენს შორის არსებული კავშირის განმტკიცებისთვის. მან ხაზი გაუსვა კათოლიკოს-პატრიარქის გამორჩეულ მოღვაწეობას, მადლობა გადაუხადა მიღებისათვის და ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვა.

ბრაიან უიტმორი: დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართ!

2

ელიზაბეთ რუდი: სწორედ რუსეთია პასუხისმგებელი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში

3

მიხეილ სააკაშვილი: სარკოზის საქციელში ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ეს შეთანხმებები რამდენიმე თვეში დაივიწყა. ფაქტობრივად, მისტრალებისთვის გაყიდა

7

სალომე ზურაბიშვილი:

ჩემი, როგორც პრეზიდენტის, საქმე არ არის, პოლიტიკური შეფასებები გავაკეთო, თუნდაც წინა ხელისუფლებაზე

„მე ჩემი აზრი ამ საკითხზე ვთქვი, ვიდრე პრეზიდენტი გავხდებოდი. დღეს ჩემი, როგორც პრეზიდენტის, საქმე არ არის, რომ პოლიტიკური შეფასებები გავაკეთო, თუნდაც წინა ხელისუფლებაზე. მე შემიძლია იმაზე ვილაპარაკო, რაც მე არ უნდა გავაკეთო, მაგრამ თუ ძალიან დაგვაინტერესა ჩვენ, ვიტყვი, რომ ეს საკითხი არის ჩვენი შიდა საკითხი, რომელზედაც ალბათ მოვა დრო და შეიქმნება შიდა კომისია. ისტორიკოსები დასხდებიან და საზოგადოება იმსჯელებს, მაგრამ ის, რაც გუშინ ვთქვი ამ საკითხზე, არის ყველაზე მნიშვნელოვანი, — ომი თუ გახდა ჩვენი კიდევ ერთხელ დაყოფის, გახლეჩის საკითხი, მაშინ ამით ჩვენ საქართველოს ყველა მტერს, ვინც დღეს პროვოკაციაზე მიდის, პროვოკაციულ კითხვებზე, პროვოკაციულ ქმედებებზე, გარე მტრებთან ერთად ის ქმნის ხვალინდელ საფრთხეს ამ ქვეყნისთვის. ამიტომ ამაზე უნდა დაფიქრდეთ, ჩვენ გვჭირდება გაერთიანება და არა ერთმანეთთან დაპირისპირება“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მამუკა ბახტაძე:

90-იანი წლების დასაწყისში ჩვენი მოქალაქეები იძულებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლ-კარი

„დღეს 11 წელი შესრულდა 2008 წლის აგვისტოს ომიდან. ეს არის უზარმაზარი ტკივილი და მოუშუშებელი იარა თითოეული ჩვენგანისთვის და დღეს, როგორც არასდროს, ჩვენ გვჭირდება ერთად დგომა, ერთსულოვნება, თანმიმდევრული პოლიტიკა, იმ სამშვიდობო ინიციატივების რეალიზაცია, რომელიც ჩვენ გვაქვს გაცხადებული, რომელიც აუცილებლად მიგვიყვანს ყველაზე მთავარ მიზნამდე, რომ მოვახდინოთ ჩვენი ქვეყნის სრული დეოკუპაცია“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ. პრემიერი ცხინვალიდან დევნილი ვეტერანის სერგო ქესანაშვილის ოჯახში იმყოფებოდა, სადაც აღნიშნა, რომ დევნილების ბინებით უზრუნველყოფა მთავრობისთვის პრიორიტეტია.

მამუკა ბახტაძემ ხაზი გაუსვა ვეტერანთა მხარდაჭერის მნიშვნელობას და განაცხადა, რომ სახელმწიფო სწორედ ასეთ ხალხზე დგას.

მთავრობის მეთაური დევნილებს ასევე ესაუბრა ახალი ბინების მშენებლობის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს პროცესი დაჩქარებული ტემპებით გაგრძელდება. გორში, ანწუხელიძის ქუჩაზე მდებარე დევნილთა დასახლებაში 480 დევნილი ოჯახი ცხოვრობს.

„ამ დასახლების მშენებლობა დაიწყო ორი წლის წინათ დევნილებისთვის ბინების გადაცემა არის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი. წელს და მომავალ წელს 2000-ზე მეტ დევნილს გადაეცემა ბინა. ამ დასახლებაში ძირითადად ცხოვრობენ ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლები ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში. სადაც ისინი ორი წლის წინათ ცხოვრობდნენ, იქ მართლაც გაუსაძლისი პირობები იყო. ჩვენ ვავითარებთ ინფრასტრუქტურას გორის ამ ნაწილში. არსებობს საბავშვო ბაღის პრობლემა, უკვე ჩავსვით ბიუჯეტში და მომავალ წელს აქ აშენდება საბავშვო ბაღი. ასევე არის პრობლემა, რომელიც უკავშირდება დასაქმებას. ჩვენ გვაქვს პირობა მიცემული ჩვენი მოსახლეობისთვის, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ მოვაგვარებთ“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

არჩილ თალაკვაძე:

თითოეული ჯარისკაცის ისტორია და ბედი, რომელიც აგვისტოს ომს უკავშირდება, არის მაგალითი, თუ რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული და თავდადება

როგორც არჩილ თალაკვაძემ აღნიშნა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა მომავალში ომი აღარასოდეს განმეორდეს.

„პატივი მივაგეთ ჩვენი გმირების საფლავებს. ასევე ვანუგეშეთ მათი ოჯახები. თითოეული ისტორია და თითოეული ჯარისკაცის ბედი, რომელიც აგვისტოს ომს უკავშირდება, არის მაგალითი ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის, თუ რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული და სამშობლოსთვის თავდადება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მომავალში ომი აღარასოდეს აღარ განმეორდეს, ჩვენი ქვეყნის მშვიდობა და უსაფრთხოება გარანტირებული იყოს. ეს იყო ამ ადამიანების ოცნება. ეს იყო ის იდეალი, რასაც ისინი შეეწირნენ. მათი შვილები და ოჯახები მშვიდობას და უსაფრთხოებას იმსახურებენ. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო შეძლებს თავისი უკეთესი მომავალი ააშენოს. ამ ომში ჩვენ მშვიდობით გავიმარჯვებთ“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

„დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართ!“

2008 წელს რომ გაგვემახვილებინა ყურადღება იმაზე, თუ რას აკეთებდა რუსეთი მისი მეზობლების წინააღმდეგ, მივხვდებოდით, რომ მომავალში ეს ჩვენი პრობლემაც გახდებოდა, — ამის შესახებ ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრის მკვლევარმა **ბრაიან უიტმორმა** „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან 2008 წლის აგვისტოს ომზე საუბრისას განაცხადა.

მისი შეფასებით, საქართველოს უსაფრთხოება დღეს არანაირად არ უნდა იყოს იმაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე დასავლეთ გერმანიის უსაფრთხოება იყო ცივი ომის პერიოდში.

„სამწუხაროდ, ომმა ძალიან გვიან შეცვალა დასავლეთის გეოპოლიტიკური ხედვები. 2008 წელს რომ გაგვემახვილებინა ყურადღება იმაზე, თუ რას აკეთებდა რუსეთი მისი მეზობლების წინააღმდეგ, მივხვდებოდით, რომ მომავალში ეს ჩვენი პრობლემაც გახდებოდა. 11 წლის წინათ რუსეთი შეიჭრა საქართველოში და რუსეთისთვის ამას არ მოჰყოლია არანაირი საფასური. შედეგად, დღეს ჩვენ ყველა ქართველები ვართ, რადგან რაც 2008 წელს რუსეთმა საქართველოში გააკეთა, იყო ის თარგი, რა თარგითაც მან შემდეგ არა მარტო უკრაინაში, არამედ დასავლეთშიც იმოქმედა. მე ვგულისხმობ ჰაკერულ შეტევებს, დეზინფორმაციას, საშინაო საქმეებში ჩარევას და ისინი აგრძელებენ ამის გაკეთებას.

ნელ-ნელა ხალხი ხვდება, რომ ეს სისტემური კონფლიქტია ორი სხვადასხვა იდეის სისტემებს შორის. დასავლეთი დაფუძნებულია კანონის უზენაესობასა და ინსტიტუტებზე, ხოლო აღმოსავლეთი — კორუფციაზე, კლიენტალიზმსა და შერჩევით სამართალზე. საქართველო ფრონტის ხაზია ამ დაპირისპირებაში. ვფიქრობ, საქართველოს უსაფრთხოება დღეს არანაირად არ უნდა იყოს იმაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე დასავლეთ გერმანიის უსაფრთხოება იყო ცივი ომის პერიოდში“, — განაცხადა მან „ამერიკის ხმასთან“ საუბარში.

დავით ზალკალიანი:

ინტერვენცია უფრო ადრე დაიწყო...

ეს იყო ინტერვენცია, რომელიც განახორციელა რუსეთმა, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა განაცხადა 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებასთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხისას.

„მინდა, ძალიან მკაფიოდ განვაცხადო და ეს არის დაფიქსირებული ჩვენს შიდა განცხადებაში, რომ ეს იყო ინტერვენცია, რომელიც განახორციელა რუსეთმა. ოკუპაცია არ დაწყებულა 2008 წელს, ეს უფრო ადრე დაიწყო და მაშინ უნდა ვყოფილიყავით უფრო მკაცრი შეფასებებში რუსეთის ფედერაციის მიმართ“, — განაცხადა საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

მისი თქმით, ოკუპაცია დაიწყო 90-იან წლებში და საბოლოოდ გაფორმდა 2008 წლის ინტერვენციის შემდეგ.

„ეს არის უაღრესად მგრძნობიარე საკითხი, მიუღებელია პოლიტიკური ქულების, თუ პოლიტიკური ინსინუაციებისა და მანიპულაციებისთვის ამ საკითხის გამოყენება, რადგანაც ჩვენ საერთაშორისო სამართლით უნდა ვიყოთ გამაგრებული ჩვენს პოზიციებში, ჩვენ, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც წარმოადგენს ქვეყანას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ძალიან გვჭირდება ერთიანობა, კონსოლიდაცია ამ საკითხში და ვფიქრობთ, რომ მხარდაჭერა, რომელიც გვაქვს, ამაზე მიანიშნებს“, — განაცხადა დავით ზალკალიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას

რუსთავი

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ომში დაღუპული გმირების ოჯახებმა და მოქალაქეებმა რუსთავში გმირთა მემორიალი ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს. სასულიერო პირებმა კი, გარდაცვლილთა მოსახსენიებლად პანაშვიდი გადაიხადეს.

ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრებს ჯარისკაცების ფოტოებითა და ბიოგრაფიებით ფოტოალბომები გადაეცათ. მსგავსი ალბომები სკოლებსა და ბიბლიოთეკებსაც გადაეცემათ. ქვემო ქართლის მხარისა და ქალაქის ხელმძღვანელები, ასევე გმირების ოჯახის წევრები ომში დაღუპული ჯარისკაცების საფლავებზეც იმყოფებოდნენ.

ქუთაისი

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, მისმა მოადგილეებმა, ქუთაისის ვიცე-მერმა დავით ერემეიშვილმა, მერის მოადგილემ ნინო თვალთვაძემ, კადეტთა სამხედრო ლიცეუმის წარმომადგენლებმა და მოქალაქეებმა აგვისტოს ომში გარდაცვლილი გმირების მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

მემორიალთან გარდაცვლილი ჯარისკაცების ახლობლებიც იმყოფებოდნენ. ქუთაისის მერიისგან ცხრავე ოჯახს, რომლებმაც ომში ოჯახის წევრები დაკარგეს, 1000-1000 ლარი ჩაერიცხათ. სასულიერო პირებმა მემორიალთან გარდაცვლილთა მოსახსენიებლად პანაშვიდი გადაიხადეს.

ფოთი



ძალაძ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ, საკრებულოს წევრებმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებითა და გვირგვინებით შეამკეს. „მოვედით, რათა პატივი მივაგოთ დაღუპულთა ხსოვნას. ომში დაღუპული თითოეული ვაჟკაცი გმირია. მათ არასოდეს დაივიწყებს შთამომავლობა“, — განაცხადა ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ. ფოთში, დაბომბვის შედეგად 12 ადამიანი დაიღუპა და 80-ზე მეტი დაიჭრა.

ახალციხე

საქართველო-რუსეთის ომის მე-11 წლისთავთან დაკავშირებით, ქალაქ ახალციხეში, საქართველოს თავდაცვის ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის მე-13 ბატალიონის ბაზაზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალი მრავალეროვნული სწავლების — Agile Spirit 2019 ხელმძღვანელმა, ბრიგადის გენერალმა გიორგი მათიაშვილმა გვირგვინით შეამკო და საერთაშორისო სწავლებაში მონაწილე პირად შემადგენლობასთან ერთად დაღუპულ გმირებს პატივი მიაგო.

აგვისტოს ომში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი ვაზიანშიც მიაგეს. მრავალეროვნული სწავლება Agile Spirit 2019-ის თანახელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა ჯეისონ ბეიკერმა და სწავლებაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებმა IV მექანიზებული ბრიგადის ბაზაზე არსებული გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და გმირები გაიხსენეს.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსი სამხედროების ყოფნა საერთაშორისო სამართლის დარღვევაა

„ალინიშნება 11 წელი საქართველოში რუსეთის შეჭრიდან. შვედეთი საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდამჭერია. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსი სამხედროების ყოფნა საერთაშორისო სამართლის დარღვევაა. მოვუწოდებ რუსეთს, შეასრულოს 2008 წლის ექვსპუნქტიანი შეთანხმება“, — წერს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მარგოტ ვალსტრომი.

<u>არად ბენკო:</u> ომი რუსეთმა დაიწყო, მაგრამ ძალიან ბევრი რამ არის უცნობი

ავსტრია მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და **ვგმობთ ოკუპაციას, ომს, რომლის შედეგადაც საქართველო იტანჯება,** — ამის შესახებ საქართველოში ავსტრიის ელჩმა არად ბენკომ მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე განაცხადა. როგორც ელჩმა აღნიშნა, ავსტრია გააკეთებს ყველაფერს, რომ დაეხმაროს საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზაზე.

კითხვაზე, ვინ დაიწყო ომი, ელჩმა აღნიშნა: **„ეს ძალიან პოლიტიკური განცხადებაა, ვფიქრობ, საკმაოდ ნათელია, რომ ამ პოლიტიკურ ბრძოლაში არის ცუდი ბიჭი. საქართველოში ძალიან პოლარიზებული გარემოა და უფრო მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ყველა პოლიტიკურმა ძალამ იბრძოლოს ერთი საკითხისთვის: ევროინტეგრაციისთვის, დემოკრატიისთვის, კანონის უზენაესობისთვის, რა თქმა უნდა, თავისუფალი მედიისთვის. ვფიქრობ, ძალიან რთულია გამოსავლის პოვნა და ვინმეს დადანაშაულება, რადგან ამას არაფერი მოაქვს და უფრო მნიშვნელოვანია, რომ მომავლისკენ ვიყუროთ. რა თქმა უნდა, ომი რუსეთმა დაიწყო, მაგრამ ძალიან ბევრი რამ არის უცნობი. ვფიქრობ, რუსეთი არის ის, ვინც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია განახორციელა“.**

რუსეთ-საქართველოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა შეასუსტა რეგიონული სტაბილურობა და უსაფრთხოება

— ასე ეხმაურება სოციალურ ქსელ „ტვიტერში“, ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მე-11 წლისთავს.

„დღეს ჩვენ ვიხსენებთ რუსეთ-საქართველოს შორის მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის წლისთავს, რომელმაც შეასუსტა რეგიონული სტაბილურობა და უსაფრთხოება. ასევე გახდა დიდი ტანჯვის და უსამართლობის მიზეზი. ერთი თვის წინ ეს საკუთარი თვალით ვიხილე საქართველოში ვიზიტის დროს, როდესაც სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ვიმყოფებოდი“, — განაცხადა ტომაშ პეტრიჩეკმა.

<u>ელიზაბეთ რუდი:</u> სწორედ რუსეთია პასუხისმგებელი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში

ამერიკელმა დიპლომატმა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შესახებ ისაუბრა და კიდევ ერთხელ დააფიქსირა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიულ მთლიანობის მიმართ.

„ვიგონებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც სამშობლოს დასაცავად საკუთარი თავი გაწირეს, ასევე მშვიდობიან მოქალაქეებს, რომლებიც ამ ომს შეეწირა. ვიყენებთ ამ შესაძლებლობას და კიდევ ერთხელ მხარს ვუჭერთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. კვლავ მოვუწოდებთ რუსეთს დაიცვას 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და გაიყვანოს საკუთარი ძალები ომამდე პოზიციებზე, დაუშვას ჰუმანიტარული დახმარება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც საქართვლოს საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიებია. ვგმობთ ადამიანის უფლებების დარღვევას, რომლებიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ყოველდღიურად ხდება, ასევე საქართველოს მოქალაქეების გატაცებას. მხარს ვუჭერთ, რომ იძულებით გადაადგილებული პირები დაუბრუნდნენ საკუთარ სახლებს. სრულად ვუჭერთ მხარს, საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობა.

ვფიქრობ ძალიან ნათელია, სწორედ რუსეთია პასუხისმგებელი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაში“, — განაცხადა ელიზაბეთ რუდმა.

ჯასტინ მაქენზი: გავიხედოთ მომავალში, სადაც საქართველო რუსული მავთულხლართებით დაყოფილი არ არის

დიდი პატივია ჩემთვის, ბრიტანეთის ელჩის რანგში აქ ყოფნა, რათა მოვიგონოთ ის ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლე გაწირეს 2008 წლის ომის დროს, — ამის შესახებ საქართველოში ბრიტანეთის ელჩმა, ჯასტინ მაქენზი სმიტმა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე განაცხადა.

„დიდი პატივია, მოვიგონოთ ის ასობით ათასი ადამიანი, რომლებიც იძულებულები გახდნენ, საკუთარი სახლი დაეტოვებინათ 2008 წელს და 90-იანი წლების კონფლიქტის დროს, ასევე ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებსაც დღესაც უწევთ კონფლიქტის შედეგებთან გამკლავება. ეს ასევე არის შესაძლებლობა, რომ გავიხედოთ მომავალში, სადაც საქართველო არ არის დაყოფილი რუსული მავთულხლართებით, სადაც საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილია და საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ ერთად, მშვიდად ცხოვრება“, — განაცხადა ელჩმა.

კითხვაზე, 2008 წელს ვინ დაიწყო აგვისტოს ომი, ელჩი აცხადებს: **„მადლობა შეკითხვისთვის, მაგრამ დღეს იმ ადამიანებს ვიხსენებთ, რომლებიც დაზარალდნენ“.**

როგორ „ამოისუნთქა“ საქართველომ, ანუ ძალაუფლება ყველაფრის ფასად...

(პირველი გვერდიდან) გაპრეზიდენტებიდან 6 თვეში სააკაშვილმა წერტილი დაუსვა ამ მდგომარეობას. 2004 წლის მაისში ასლან აბაშიძის გაძევებისა და „აჭარის შემოერთების“ შემდეგ სააკაშვილმა გადაწყვიტა, მსგავსი „ტრიუმფი“ გაემეორებინა ცხინვალშიც, იმ იმედით, რომ რუსეთი ამ შემოერთებასაც არ შეეწინააღმდეგებოდა.

2004 წლის დასაწყისში სააკაშვილმა დახურა ერგნეთის ბაზრობა, ერთ თვეში კი გააძლიერა ქართული სამშვიდობო კონტინგენტი. სეპარატისტების პრეზიდენტმა კოკოითმა გასცა ბრძანება და 60-მდე ქართველი პოლიციელი ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი ცხინვალის ცენტრში დააჩოქეს, რასაც მოჰყვა ოქრუაშვილის რეაქცია. 2004 წლის 7 ივლისს სამაჩაბლოში შეიარაღებული კონფლიქტი განახლდა. შეტაკებების შედეგად საქართველომ 16 სამხედრო დაკარგა. დაიკარგა ქართული მხარის პოზიციებიც. წყალში გადაყრილი აღმოჩნდა 12-წლიანი სამშვიდობო პროცესის მიღწევებიც. 20 აგვისტოს თბილისს მოუწია საკუთარი სამხედრო შენაერთების გამოყვანა რეგიონიდან.

ისტორიის ეს მონაკვეთი ბევრს არ ახსოვს იმ მარტივი მიზეზით, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას არ აწყობდა გახსენება. აშკარად ჩნდებოდა კითხვები – რატომ მოხდა სამშვიდობო პროცესის ჩანაცვლება ესკალაციის პროვოცირებით? რა გათვლებით ხელმძღვანელობდა მაშინდელი ხელისუფლება, როცა იღებდა მსგავს გადაწყვეტილებას და რატომ არ აგო პასუხი არავინ წარუმატებელი ოპერაციისთვის. შესაძლოა, უტიაშვილი ან ბოკერია თვლის, რომ ერგნეთის ბაზრობის დემონსტრაციული, მოუმზადებელი დახურვა ღირდა 16 სამხედროს სიცოცხლედ, ცხინვალში პოზიციების დაკარგვად, კოკოითის გადაკიდებად, ოსებში ქართველებისადმი კვლავ შიშის გაჩენად და სამშვიდობო პროცესის ამოყირავებად, მაგრამ ფაქტია, 2004 წლის ავანტიურას საქართველოსთვის „პლუსები“ და „ამოსუნთქვა“ არ მოუტანია.

იმჟამინდელი პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ხვდებოდა, რომ სააკაშვილისა და ოქრუაშვილის რევანშისტულ პოლიტიკას შეეძლო, საფრთხე შეექმნა მთელი საქართველოსთვის და სცადა ვითარების განმუხტვა კოკოითთან დაწყებული სამშვიდობო მოლაპარაკებებით, მაგრამ მის სამშვიდობო პოლიტიკას დიდი მომავალი არ ჰქონდა, რამდენიმე თვეში ჟვანია გარდაცვლილი იპოვეს. საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მხოლოდ ძალაზე ორიენტირებული ფიგურები დარჩნენ, სააკაშვილს რევანშიზმი არჩეული ჰქონდა ძირითად საპროგრამო ამოცანად. ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაზე მარტივი იყო მოკლევადიანი ომით სამაჩაბლოს შემოერთება და ამით საკუთარი მმართველობის სიმტკიცის უზრუნველყოფა. ცხინვალის რეგიონში დაისადგურა ტერორმა, შეტაკებებმა და არასტაბილურობამ, დანარჩენ საქართველოში კი ტერორის ქვეშ მოექცა სიტყვის თავისუფლება, განსხვავებული აზრი, თავისუფალი მედია და ბიზნესი. სააკაშვილი ცდილობდა ძალაუფლების სრულ კონცენტრაციას, რასაც 2007 წელს მოჰყვა ოპოზიციის გამოსვლები და პრეზიდენტის საპასუხო სვლა – 7 ნოემბრის საპროტესტო აქციის სასტიკი დარბევა და ოპოზიციონერთა დადანაშაულება რუსეთის აგენტობაში. დარბევა იმდენად რეზონანსული იყო, რომ სააკაშვილს მოუწია გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა 2008 წლის იანვარში.

წინასაარჩევნოდ სააკაშვილმა გაზარდა რევანშისტული და გამომწვევი რიტორიკა სეპარატისტული ცხინვალის მიმართულებით, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან შეხვედრისას თუ ტელეეთერებში ის იძლეოდა დაპირებას, რომ რამდენიმე თვეში საქართველო გაერთიანდებოდა, მინიშნებები კეთდებოდა ხან აფხაზეთის და ხან სამაჩაბლოს მიმართულებით, საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ უახლოეს პერიოდში სააკაშვილი ერთ-ერთ რეგიონს მაინც შემოიერთებდა.

ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები სააკაშვილმა მოიგო, თუმცა სერიოზული კითხვები გაჩნდა არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობის მიმართ, მათ შორის ეუთოს მხრიდან.

2008 წელს კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება ცხინვალის რეგიონში. რუსეთმა ჩაატარა ორი ფართომასშტაბიანი სწავლება საქართველოს საზღვრებთან, მოსკოვმა რამდენჯერმე ღიად გამოთქვა მზადყოფნა – მხარი დაუჭირონ სეპარატისტებს და რეგიონში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებს თბილისიდან აგრესიის შემთხვევაში. დაზვერვაც აწვდიდა ხელისუფლებას ინფორმაციას რუსეთის გააქტიურების შესახებ, აშშ-ის მაღალჩინოსნებმაც გააფრთხილეს სააკაშვილი, არ წამოგებოდა პროვოკაციას და თავი შეეკავებინა, მაგრამ **სააკაშვილმა არ გაითვალისწინა არც რუსეთის აქტივობების აშკარა ფაქტები (სამხედრო ტექნიკის მიწოდება სეპარატისტებისთვის, რუსული მედიის რიტორიკა, წვრთნები, პუტინის და თავდაცვის მაღალჩინოსანთა განცხადებები, კოკოითის შენაერთების აშკარად პროვოკაციული და გამომწვევი სროლები ქართული მხარის მიმართ“), არც რჩევები პარტნიორებისგან, არც ის ფაქტი რომ ცხინვალიდან დაიწყო ოსი მოსახლეობის გახიზვნა ჩრდილო ოსეთში“ და 2008 წლის 7 აგვისტოს მიწურულს წამოიწყო კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის ოპერაცია. საქართველოს საზღვრებთან მოლოდინის რეჟიმში მყოფი რუსეთისთვის ოპერაციის დაწყება საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა საქართველოში შემოსასვლელად და 8 აგვისტოს ღამის 2 საათიდან ოკუპანტები შემოვიდნენ საქართველოში. გამთენიისას კი საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე იერიში მიიტანა რუსეთის ავიაციამ. 8 და 9 აგვისტოს რუსეთის ავიაცია უკვე ბომბავდა გორს, ქარელს, ფოთს, კოდორს, მარნეულსა და ვაზიანს. 10 აგვისტოდან დაიწყო ქართული შენაერთების უკან დახევა, ხოლო 12 აგვისტოს კი უკვე ყველაფერი დასრულდა. საფრანგეთის შუამავლობით საოკუპაციო ჯარებმა შეწყვიტეს წინსვლა. 5-დღიანი ომი დასრულდა, ანუ უტიაშვილის და ბოკერიას ტერმინოლოგიით “საქართველომ ამოისუნთქა“.**

ახლა ჩამოვთვალოთ ის ზარალი, რაც საქართველომ განიცადა და რასაც უტიაშვილი „მინუსებს“ უწოდებს:

რუსეთ-საქართველოს ომმა შეიწირა 188 სამხედრო და პოლიციელი და 228 სამოქალაქო პირი. რეგიონიდან დევნილი აღმოჩნდა საერთო ჯამში 158 ათასი ქართველი და ოსი, რომელთაგან 130 ათასამდე ქართველია.

სამაჩაბლოს ქართული სოფლების უდიდესი ნაწილი დღეს აღარ არსებობს. ომის შემდეგ სეპარატისტული ცხინვალის მითითებით ქართული სოფლები ბულდოზერებით იქნა გადასწორებული.

თბილისმა კონტროლი დაკარგა ახალგორის რაიონზე, რომელიც სააკაშვილის გაპრეზიდენტებამდე 100%-ით თბილისის კონტროლს ქვეშ იყო, ხოლო სეპარატისტების ხელში აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც 2007 წელს სააკაშვილმა ახალგორი სანაკოევის მარიონეტულ ხელისუფლებას გადასცა. დღეს ახალგორის მოსახლეს სჭირდება ოკუპანტების ნებართვა სახლში მისასვლელად.

საქართველომ დაკარგა კოდორის ხეობა, რომელიც დღემდე გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდა ოკუპანტებისთვის ჩაბარებული.

საქართველომ დაკარგა დიდი რაოდენობის შეიარაღება, რომელიც ასევე გაურკვეველ და გამოუძიებელ ვითარებაში აღმოჩნდა მტრის ხელში.

როგორც ჩანს, უბრალო „მინუსად“ უნდა მოინათლოს ქვეყნის ტერიტორიების 20%-ის დაკარგვა, სეპარატისტული რეჟიმების სრულად რუსეთის კონტროლს ქვეშ გადასვლაც, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში ახალი რუსული სამხედრო ბაზების მშენებლობაც და ქართველი საზოგადოების კიდევ ერთხელ დეპრესიაში ჩაგდებაც თან ისეთი „სოუსით“ რომ ვერც ერთმა ქართველმა ვერასდროს ვერ გაბედოს „აგვისტოს ომის“ წინაპირობების, მიმდინარეობის ან დამდგარი შედეგის კრიტიკული განხილვაც კი. ყოველგვარი მსგავსი მცდელობა სააკაშვილის რეჟიმის და ნაციონალების მხრიდან ინათლებოდა და ინათლება, როგორც აგრესორის წისქვილზე წყლის დასხმა, თუმცა გაურკვეველია, რა შუაშია რუსეთუმეობა, როცა მაგალითად გიჩნდება კითხვა – **რატომ არ გაიცა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისგან ბრძანება სამაჩაბლოდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის დასაწყებად? თუ სეპარატისტებმა ევაკუაცია ჯერ კიდევ 3 აგვისტოს დაიწყეს და ეს ტელეეთერებით გადაიცა, რატომ იყო რთული, იგივე გაეკეთებინა თბილისსაც და სიკვდილისგან ეხსნა ასობით მშვიდობიანი მოქალაქე? რატომ არ დაიწყო ევაკუაცია 8, 9 ან 10 აგვისტოს მაინც? რატომ აქცია სააკაშვილის რეჟიმმა იმ დაღუპული მოხუცების, ქალების და ბავშვების გაწყვეტილი სიცოცხლეები „მინუსად“?**

რა კავშირი აქვს რუსეთთან კითხვას: – **რატომ არ მიმართა სააკაშვილმა გაეროს უშიშროების საბჭოს, როცა იცოდა, რომ რუსეთი საკუთარი შეიარაღების კონცენტრაციას ახდენდა საქართველოს საზღვართან? რატომ მისცა საბაბი აგრესორს, ომის შემდეგ თავი გამოეყვანა მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდისგან დამცველად?**

კიდევ ერთი, დღემდე პასუხგაუცემელი კითხვა: რატომ არ მოამზადა უშიშროების საბჭომ და თავდაცვის სამინისტრომ უკან დახევის სათადარიგო გეგმა? **რატომ აღმოჩნდა წინა ხაზზე გასული ქართველი სამხედრო დაუცველი, რატომ იყო მოშლილი კოორდინაცია შენაერთებს შორის, რატომ არ იყო გამართული ლოგისტიკა, რატომ არ იქნა გატანილი უსაფრთხო ადგილას შეიარაღება ან რატომ არ განადგურდა ის ტექნიკა, რომლის გადარჩენაც შეუძლებელი იყო? ვინ უნდა აგოს პასუხი უნიჭო დაგეგმვას შეწირული ჩვენი მეომრების ოჯახების წინაშე?** ის დაღუპული სამხედროები, ვისაც ბოკერია ახსენებს, დღეს შეიძლება ცოცხლები ჰყოლოდა ოჯახებსა და სამშობლოს, მაშინდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სამხედრო სპეციალისტების აზრი რომ გაეთვალისწინებინა და პროფესიონალთათვის დაეთმო სამხედრო საქმე. ამ დამღუპველი და გამოუსწორებელი შეცდომების შესახებ საქართველო ვერ შეიტყობს მანამ, სანამ თემა დარჩება ტაბუირებულად, მანამ, სანამ არ აეხდება ფარდა 6 აგვისტოს თათბირის დეტალებს თავდაცვის სამინისტროში, მანამ, სანამ წუთობრივად არ აღდგება და არ გაანალიზდება ხელისუფლებისა და გენერალიტეტის ნაბიჯები, სანამ სპეციალისტები არ დადებენ დასკვნებს იმ დროინდელ გადაწყვეტილებებზე, სანამ პასუხს არ აგებენ ადამიანები, რომელთა არაპროფესიონალიზმმა და სიმხდალემ შეიწირა ჩვენი გმირების სიცოცხლე, ხელი შეუწყო ოკუპანტს და აზარალა ქართული სახელმწიფო.

დაბოლოს, რატომ რჩება ეს თემა დღემდე ტაბუდადებული? იმიტომ ხომ არა, რომ ამ კითხვებზე პასუხების გაცემას მოჰყვება ბევრი მაშინდელი მაღალჩინოსნის პასუხისგებაში მიცემა და შესაბამისად „ნაციონალური მოძრაობის“ დაზარალება?

რაც შეეხება აგვისტოს ომის „პლუსებს“. ამ ეროვნული ტრაგედიიდან „პლუსი“ დაიწერა მხოლოდ სააკაშვილმა, რომელმაც თავიდან არაცილებული და წაგებული ომი საკუთარ გამარჯვებად, საკუთარი ლეგიტიმაციის გამყარებად და გახანგრძლივებად აქცია. **ომამდე სრულიად დელეგიტიმირებუ-**

აგვისტოს ომი დაწყებამდე წაგებული იყო

11 წლის წინათ რუსეთ-საქართველოს ომმა მთელი მსოფლიო დააყენა ახალი რეალობის წინაშე — რუსეთი მზად იყო თავდასხმისთვის და არაფერზე უკან არ დაიხევდა საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების გასატარებლად. გამოჩნდა სხვა რეალობაც, კრემლს უნარი აქვს, წარმატებით გააჩაღოს თანამედროვე ჰიბრიდული ომები.

საქართველო ამგვარი ომისთვის საუკეთესო პოლიგონი აღმოჩნდა, რისთვისაც არსებობდა შესაბამისი წინა პირობებიც.

აგვისტოს ომამდე რუსეთი იდგა გამოწვევის წინაშე. დასავლეთის ქვეყნების დიდმა ნაწილმა ცნო სერბეთის ერთ-ერთი რეგიონის — კოსოვოს დამოუკიდებლობა, ეს ფაქტი კრემლმა გამოიყენა როგორც მიზეზი სამაგიეროს გადახდისთვის. თუ დასავლეთს შეუძლია ცნოს ერთი ქვეყნის სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობა, შესაბამისად რუსეთსაც აქვს იგივე უფლება. თუ დასავლეთის არგუმენტი იყო კოსოვარების გადარჩენა სერბებისგან, რუსეთსაც სჭირდებოდა მსგავსი ლეგენდა, ამ მხრივ საუკეთესო ვარიანტი იყო საქართველო, რომლის ორი სეპარატისტული რეგიონი საბჭოთა კავშირის დაშლის წინააღმდეგი და რუსეთთან მიერთების მომხრე იყო. გარდა ამისა, საქართველოს აღარ ხელმძღვანელობდა გამოცდილი და ფრთხილი შევარდნაძე, რომლის პროვოცირება რთული იქნებოდა. ოფიციალურ თბილისს მართავდა იმპულსური სააკაშვილი. საჭირო იყო მხოლოდ სწორი, გათვლილი პოლიტიკით ამ ახალი ლიდერის მოტივირება შეცდომის დაშვებისკენ.

გაპრეზიდენტებისთანავე სააკაშვილი პუტინს რუსეთში ეწვია და მოიხიბლა მისი კეთილგანწყობით. საქართველოს ახალგაზრდა ლიდერმა დაიჯერა, რომ პუტინი, შევარდნაძის შემდეგ უფრო კეთილგანწყობილი იყო მის მიმართ. მით უმეტეს, რომ პუტინმა სააკაშვილს დახმარების ხელი გაუწოდა გაცნობამდე, „ვარდების რევოლუციისას“, როცა თბილისში გამოგზავნილმა იგორ ივანოვმა შევარდნაძე დაარწმუნა, გადამდგარიყო.

რამდენიმე თვეში ივანოვი კვლავ ჩამოფრინდა თბილისში და კიდევ ერთი პრობლემა მოუხსნა სააკაშვილს, მოსკოვში წაიყვანა ასლან აბაშიძე. მიამიტი და მოუთმენელი სააკაშვილი ეშხში შევიდა და გადაწყვიტა პრეზიდენტობის პირველივე წელს ცხინვალის შემოერთებაც, თუმცა გეგმა ჩაეშალა. სააკაშვილი მიხვდა, რომ კრემლი არ აპირებდა მისი ინტერესების სფეროში მყოფი ცხინვალის მარტივად დათმობას და საჭირო იყო უკეთესი მომზადება მეორე ცდისთვის. ამ მომენტისთვის სააკაშვილი მისდაუნებურად უკვე წამოგებული იყო ანკესზე და რუსეთმაც დაიწყო ჰიბრიდული ომის ყველა რესურსის გამოყენება.

ჰიბრიდულ ომში ერთ-ერთი ტაქტიკური ილეთია აგრესორის მხრიდან მტრული მოქმედების, მათ შორის რიტორიკის მაქსიმალური გაწელვა. ამ შემთხვევაში სწორება კეთდება სამიზნე ქვეყნის ხელმძღვანელობის მოთმინების ამოწურვაზე და მისი მხრიდან შეცდომის დაშვების მოლოდინზე.

2004 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე მოსკოვმა წარმატებით გაართვა თავი ამ ტაქტიკას. რუსეთის სხვადასხვა უმაღლესი პირი პერიოდულად აჟღერებდა გაფრთხილებას თბილისის მიმართ და მხარდაჭერას აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების მისამართით, პარალელურად კი ითავსებდა მშვიდობისმყოფლის სტატუსს.

კრემლს ჰიბრიდული ომის მოგებაში განუზომელი დახმარება გაუწია მეორე ქართველმა პოლიტიკურმა ლიდერმა — ირაკლი ოქრუაშვილმა, ერთის მხრივ, სამაჩაბლოში მუდმივი ესკალაციის შენარჩუნებით, რაც კიდევ უფრო აღიზიანებდა რეგიონის ოს მოსახლეობას და მეორე მხრივ, ცნობილი განცხადებით „ფეკალიების“ შესახებ, რამაც გამოიწვია რუსეთის მოსახლეობის გაღიზიანება და შესაბამისად შეუქმნა პუტინს წინაპირობა თბილისთან ომის გასამართლებლად.

რუსეთმა სანქციები დააწესა ქართული პროდუქციის მიმართ და 6 ათასი ქართველის დეპორტი განახორციელა, თუმცა აქტიურ ქმედებებზე არ გადასულა, რადგან არ ჰქონდა საკმარისი საბაბი მსოფლიოსთან თავის გასამართლებლად. კრემლს სჭირდებოდა საქართველოს ხელმძღვანელობის პროვოცირება აქტიური და მასიური ძალის გამოყენებაზე, რასაც სააკაშვილი გაბედავდა იმ შემთხვევაში თუ დარწმუნებული იქნებოდა თუნდაც ნაწილობრივ წარმატებაში.

მოსკოვმაც და მთელმა მსოფლიომაც იცოდა, რომ სააკაშვილი მეგობრობდა აშშ-სთან, განსაკუთრებით კი რუსეთის მიმართ ხისტი პოლიტიკის მხარდამჭერ პოლიტიკურ ჯგუფთან, რომელიც ბუშის ადმინისტრაციისგან განსხვავებით ნაკლებ სიფრთხილეს იჩენდა კრემლთან ურთიერთობებში და მეტად ოპტიმისტურად უყურებდა საქართველოს ნატოში გაწევრებას.

ამ ჯგუფისგან სააკაშვილი დაიმედებული იყო, რომ რუსეთის აგრესიის შემთხვევაში აშშ განსაცდელში არ მიატოვებდა მას. თუმცა, მხოლოდ ვაშინგტონელი რადიკალების მხარდაჭერა ვერ იქნებოდა საკმარისი, ჰიბრიდული ომის წარმატებისთვის საჭირო იყო, სააკაშვილში გაზრდილიყო ომში წარმატების მიღწევის რწმენაც და სამხედრო მოქმედებების სწრაფი დაწყების სურვილიც.

პირველი ამოცანის მისაღწევად მოსკოვმა გამოიყენა დეზინფორმაცია. სხვადასხვა წყაროებიდან სააკაშვილს არწმუნებდნენ, რომ ცხინვალზე შეტევის შემთხვევაში რუსეთი არ ჩაერეოდა სამხედრო ძალით. სააკაშვილის ბიძა ერთ-ერთი იყო, ვინც არწმუნებდა პრეზიდენტს, რომ რუსეთი არ გამოიყენებდა იარაღს. დეზინფორმაციისთვის გამოყენებულ იქნა სხვა წყაროებიც. ერთ-ერთი ვერსიით, რუსეთმა ორმაგი თამაში ათამაშა საქართველოს სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული ის ქართველები რომლებიც რუსეთის არმიაში მსახურობდნენ (მოგვიანებით, რამდენიმე ქართველი რუსეთმა საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის გაასამართლა) და წინასწარდაგეგმილი ტყუილი ინფორმაციებით ამარაგებდნენ ოფიციალურ თბილისს.

სააკაშვილი იმდენად იყო მოწადინებული ამ დეზინფორმაციის რეალობაში, რომ ანგარიში არ გაუწია რუსეთის აშკარად სახიფათო ნაბიჯებს — ცხინვალისთვის ტექნიკის მიწოდებასა და რეგიონის მოსახლეობაში რუსეთის პასპორტების დარიგებას. ორივე ქმედება საკმარისი იყო, სულ მცირე სიფრთხილის გამოჩენისთვის, მაგრამ პრეზიდენტის რევანშისტული მოწოდებები არ შემცირებულა.

მეორე ამოცანა — სამხედრო მოქმედებების სწრაფად დაწყება კი გარანტირებული იყო თავად სააკაშვილის არამდგრადი და ფიცხი ხასიათიდან გამომდინარე.

2007 წლის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტს შიდაპოლიტიკური პრობლემები შეექმნა, გააქტიურდა ოპოზიცია, რომელიც აღარ ეგუებოდა პრეზიდენტის ავტორიტარულ მმართველობას. 7 ნოემბერს სააკაშვილმა ძალის გამოყენებით დაშალა საპროტესტო აქცია და დახურა რუსეთში ძებნილი ბადრი პატარკაციშვილის ტელევიზია. დაშლის შემდეგ კი მოუწია გადადგომა, რათა შელახული რეპუტაცია ვადამდელი არჩევნებით მოეპოვებინა. წინასაარჩევნოდ სააკაშვილმა რამდენჯერმე დააანონსა სეპარატისტული რეგიონების რამდენიმე თვეში შემოერთება და უკვე აშკარა იყო, რომ ძალაუფლებასა და დიდებას მოწყურებული ლიდერის ქცევა კრემლის გეგმის განხორციელებას გარდაუვალს ხდიდა.

კრემლის ჰიბრიდული ომის წარმატებაში თავისი როლი წარმატებით ითამაშა სეპარატისტების ლიდერმა კოკოითმა, რომლის სამხედრო შენაერთები რუსი სამშვიდობოების ბაზის სიახლოვიდან ისროდნენ ქართული პოზიციების მისამართით. ამოცანა მარტივი იყო — წაექეზებინათ ქართული მხარე საპასუხო ცეცხლზე, რომელიც გამოიწვევდა რუსული კონტინგენტის დაზარალებას, რაც მოსკოვს მოქმედებისკენ უბიძგებდა.

7-8 აგვისტოს ღამეს ოფიციალურმა თბილისმა საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენა გამოაცხადა და დაიწყო შეტევა. იმავე საათებში გაჩნდა „ინფორმაცია“, რომ რუსეთის სამშვიდობოებზე მოხდა თავდასხმა და არის მსხვერპლი. არაა გამორიცხული, რომ, სამშვიდობოებს თავად რუსეთმა ან ოსმა სეპარატისტებმა ესროლეს, მაგრამ აგრესიითვის საბაბი უკვე იყო: თბილისმა დაიწყო შეტევა, შეტევისას დაიღუპნენ რუსი სამშვიდობოები, ცხინვალში ბევრს ჰქონდა რუსეთის პასპორტი და ეს ყველაფერი კრემლისთვის საკმარისი იყო სამოქმედოდ. 5 დღეში აქტიური მოქმედებები დასრულდა, რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა კი ფაქტობრივად ქვეყნის ნახევარი დაიკავეს. ისინი აკონტროლებდნენ ფოთს, ზუგდიდს, სენაკს, გორს და კოდორის ხეობას.

რუსეთმა თავის გეგმებს მიაღწია, მოქალაქეებისა და სამშვიდობიების დაცვის მიზეზით შემოიჭრა საქართველოში, შემდეგ ცნო სეპარატისტების დამოუკიდებლობა და ამის შემდეგ განალაგა თავისი ბაზები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რაც იყო კიდეც კრემლის უმთავრესი ამოცანა — სამხრეთ კავკასიაში გრძელვადიანი და მყარი დამკვიდრება. იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველო ხვალვე გაწევრდება ნატოში, სააკაშვილის ამბიციურობის, დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის და ძალაუფლების წყურვილის მეოხებით რუსი ოკუპანტები არ გავლენ ოკუპირებული ტერიტორიებიდან. **რუსეთმა აგვისტოს ომი მოიგო ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ოპოზიციის დევნისგან იმიჯშერყეულმა სააკაშვილმა რეპუტაციის აღდგენის გზად აირჩია არა სიტყვის თავისუფლების აღდგენა და დემოკრატიზაცია, არამედ რევანშისტული რიტორიკა და ძალისმიერი, მით უმეტეს სრულიად მოუმზადებელი და ნაჩქარევი ძალისმიერი მეთოდები.**

ნოდარ მახარაძე

ქეს ეს კომპენსაცია საკუთარ თავზე შეეგრძნო. ამ შემთხვევაშიც, **თუ ამოისუნთქა, ისევ „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომელსაც დღესაც არ აკლია ფინანსები, ისევე როგორც არ აკლია თავხედობა, ოპოზიციაში ყოფნის დროსაც ეცადოს დესტაბილიზაციის კერების შექმნით ახალი პლიუსების მიღებას.**

7 წელია, რაც ქვეყანას „ოცნების“ ხელისუფლება მართავს, 7 წელია, ახალი ხელისუფლება ახერხებს, აარიდოს ქვეყანა ოკუპანტთან უაზრო დაპირისპირებას და ახალი კონფლიქტების პროვოცირებას, პარალელურად კი აღრმავებს ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციას. და ამ ვითარებაში „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ ცდილობს კრემლის აგრესიის პროვოცირებას, თუ კონფლიქტის ესკალაციით ვერა, უბრალო გინებით და ტურისტების დაფრთხობით მაინც. სხვათა შორის იმ ტურისტების, რომელთა საქართველოში უვიზო შემოსვლაც დაუშვა სააკაშვილმა, აგვისტოს ომის შემდეგ.

აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ დღემდე ვერ ამოისუნთქა და ვერც ამოისუნთქავს მანამ, სანამ 130 ათასი დევნილი არ დაბრუნდება სამაჩაბლოში, სანამ 250 ათასი დევნილი არ დაუბრუნდება აფხაზეთს, სანამ არ მოხდება ქვეყნის სრული დეოკუპაცია და არ დაიწყება ხანგძლივი, მტკივნეული, მაგრამ გარდაუვალი შერიგება აფხაზებთან და ოსებთან, რისთვისაც, პირველ რიგში, საჭიროა მშვიდობა და განვითარება, ორი მოცემულობა, რომელიც არ აწყობს „ნაციონალურ მოძრაობას“, ორი მოცემულობა, რომელიც 2008 წელს სააკაშვილმა საკუთარი ძალაუფლების გაძლიერებას და ამბიციებს ანაცვალა.

გიორგი უძილაური

ვარიაციები ომის თემაზე

ტყუილი ჩურჩულებს, სიმართლე ყვირის!

ლოპე დე ვეგა

ბრძოლა ვის არ წაუგია და ომში ვინ არ დამარცხებულა, მაგრამ ისტორიას არ ახსოვს ფაქტი, როცა, წაგებული ომი მოგებულად, თავლაფდასხმული მთავარსარდალი კი ტრიუმფატორად გამოცხადებულიყოს!

ყოფილი ჯარისკაცის მამა ვარ და სხვისი მონათხრობით არ ვიცი, თუ რა ცეცხლი ანთია ცხელ წერტილებში მყოფი სამხედრო მოსამსახურის მშობლის გულში, მაგრამ წარმოდგენაც კი მიჭირს, თუ რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა, უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაღუპული იმ ჯარისკაცების მშობელთა გულებში, რომელთა ცხედრებიც უპატრონოდ იყო მიტოვებული აგვისტოს ხვატში, მთავარსარდალი კი „გამარჯვებას“ ზეიმობდა ევროპის ხუთი სახელმწიფოს პირველ პირებთან ერთად დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე.

ძალიან არ მსიამოვნებს ამის აღიარება, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ არც ამჟამინდელი ხელისუფლების საქმიანობით ვარ მოხიბლული, თუმცა დაუშვებლად მიმაჩნია იმ პოლიტიკური ძალის უკან მობრუნება, რომელმაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოებრიობას და ფეხქვეშ გათელა ადამიანის ღირსება.

პოლიტიკაში არაფერი ესაქმება ისეთ ცრუპენტელას, რომელიც ვითომ ღრუბელ-ღრუბელ დაფრინავდა და ასე დააღწია თავი რუსულ ავიაგამანადგურებელს, თუმცა, რეალურ სიტუაციაში, იგივე ავიაგამანადგურებლის ხმის გაგონებაზე ავაზის სიჩქარე (ყველაზე სწრაფი ცხოველია) განავითარა და სოროში დურთა თავი!

პოლიტიკაში არაფერი ესაქმება ისეთ უპასუხისმგებლო ადამიანს, რომელიც გაგანია ომის დროს, ბრძოლის ველზე კი არ ამხნევებდა ჯარისკაცებს, ტელეეკრანიდან მოუწოდებდა მშვიდობიან მოსახლეობას, დანებით, ჩანგლებითა და სამწვადე შამფურებით ებრძოლათ კბილებამდე შეიარაღებული მტრის წინააღმდეგ!

პოლიტიკაში არაფერი ესაქმება ისეთ ვაიპატრიოტს, ვისაც მიაჩნია, რომ გმირთა მოედანზე აღმართულ სვეტზე არსებული ცარიელი ადგილები ახალი სახელებით უნდა შეივსოს!

ეს არ უნდა დავუშვათ, ამას შთამომავლობა არ გვაპატიებს!

ისე, თუ ვინმე ამით შვებას იგრძნობს, შემიძლია ვუთხრა, რომ ომი (დიდი სამამულო ომი!) ჰიტლერს კი არა, კოწია ფოსტალიონს დაუწყია! ეს დაუჯერებელი ამბავი მოთხრობილია ნოდარ დუმბაძის რომანში – „მე ვხედავ მზეს“.

თეიმურაზ ჯანელიძე,
წყალტუბო

P.S. **ნაციონალებისაგან** თუ რამე გამიკვირდებოდა, ნამდვილად არ მეგონა, მაგრამ, თურმე, ვცდებოდი. სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთმა „სახემ“ შოთა უტიაშვილმა ისეთი რამ „დაპოსტა“, ნახევარი საქართველო შოკში ჩააგდო: აგვისტოს ომმა ჩვენ ამოსუნთქვის საშუალება მოგვცაო!

არადა, მართალია ეს კაცი! მას შემდეგ, რაც თავიანთი შავბნელი საქმე მოითავეს, უცხოეთიდან დახმარების სახით შემოსული ოთხი მილიარდი დოლარიდან მსუყე პრემიები დაირიგეს, ფეშენებელურ კურორტებს დასასვენებლად მიაშურეს და... შვებით ამოისუნთქეს ბიჭებმა!

თ. ჯ.

საერთაშორისო ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად ჩახედულმა მოქალაქემ, ალბათ, იცის რომ, როცა სახელმწიფოთა შორის კონფლიქტური სიტუაცია წარმოიქმნება, საგარეო საქმეთა სამინისტრო მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის და გააქტიურებს დიპლომატიურ სამსახურს, რომელმაც ურთიერთმისაღები კომპრომისების გზით, მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს შესაძლო ინტერვენციის საფრთხე.

დიპლომატიის არდადეგებს ომი ეწოდებაო, – ამბობდა შვეიცარიელი ფსიქიატრი და ანალიტიკური ფსიქიატრიის ფუძემდებელი კარლ გუსტავ იუნგი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ არათუ ომის წინა პერიოდში, 2006 წლიდან მოყოლებული, საქართველოში დიპლომატიური არდადეგები იყო და მხოლოდ მაპროვოცირებელი განცხადებები ისმოდა. თითქოსდა ის არ კმაროდა, სააკაშვილმა ბირთვული სახელმწიფოს ამბიციურ პრეზიდენტს ლილიპუტინი რომ უწოდა, – ცეცხლზე ნავთი დაასხა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმაც თავისი როყიო განცხადებით, რუსეთის მთავარი სანიტარის გენადი ონიშჩენკოს საპასუხოდ ქართული ღვინის ფალსიფიცირებასთან დაკავშირებით: ფალსიფიცირებული ღვინო კი არა, რუსეთში ფეკალიები რომ შევიტანოთ, იმასაც კი მოიხმარენო!

სპეცსამსახურებში გამობრძმედილმა პუტინმა შესაშური თავშეკავება გამოიჩინა და მოთმინებით გადაყლაპა ეს დამამცირებელი აბი, სამაგიეროდ, „ჩექმებიდან ამოხტა“ კრემლის რუპორად წოდებული ჟირინოვსკი, რომელმაც ჩვეული ღვარძლი გადმოანთხია: ფეკალიები თქვენ მიირთვით, მშიერმუცელა ქართველებო, ყოველთვის რუსეთის ხელისშემყურე რომ იყავით და ჩვენი ნასუფრალით იკვებებოდითო, რასაც გვარამია-გაბუნიას სტილში, გინებაც მოაყოლა!

იყავი ზრდილობიანი და წერე დიპლომატიურად! მაშინაც კი, როცა ომისთვის ადგენ დეკლარაციას, საჭიროა, დაიცვა ზრდილობის ნორმები, – ამბობდა ბისმარკი, რომელიც იმდენად წინდახედული პოლიტიკოსი იყო, თანამემამულეებს აფრთხილებდა, ღმერთი არ გაგიწყრეთ და რუსებთან ომი არ წამოიწყოთ, რადგან ეს უპერსპექტივოაო!

შეუძლებელია, ეს არ სცოდნოდა „უბრწყინვალეს დიპლომატს“ (თაკო ჩარკვიანის ეპითეტია) გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც იმ კრიტიკულ და საქართველოსათვის საბედისწერო პერიოდში, საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და, ცნობილი მიზეზების გამო, რუსეთში სიტყვა ეთქმოდა. სურვილის შემთხვევაში, ვაშაძეს არც იმის დადგენა გაუჭირდებოდა, რომ, თურმე, 2006 წლიდან რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ჰქონდა ე.წ. „დომაშნიე ზაგატოვკი“, პროცესების შესაძლო ესკალაციის შემთხვევისათვის.

რაკი დიპლომატიური ნაბიჯები არ გადაიდგა დაძაბულობის განსამუხტად, ლოგიკურად ჩნდება ეჭვის საფუძველი, რომ არსებობდა ორმხრივი შეთანხმება დაინტერესებულ მხარეებს შორის, რათა სიტუაცია გასულიყო კონტროლიდან და გადაზრდილიყო შეიარაღებულ დაპირისპირებაში.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, საკაშვილს სიფრთხილისა და თავშეკავებისაკენ მოუწოდებდნენ აშშ მოქმედი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა საქართველოში და მისი წინამორბედი, დინჯი და გაწონასწორებული სამხედრო მაღალჩინოსანი კოლინ პაუელი, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს. ანდა, როგორ უნდა შეესმინათ, როცა უმაღლეს მთავარსარდალ სააკაშვილს, უშიშროების საბჭოს მდივნად ჰყავდა კახა ლომაია, რომელიც, დიდი ალბათობით, კოლინ პაუელსა და მარტინ ბაუერს ერთმანეთისაგან ვერც გაარჩევდა.

მას შემდეგ, რაც უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია ცხინვალის მისადგომებთან და გახშირდა პროვოკაციული სროლები ე.წ. სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ბუფერულ ზონაში, სერგეი ლავროვის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, სააკაშვილს მთლიანად უმტყუნა მუხრუჭებმა და მიიღო საბედისწერო გადაწყვეტილება ცხინვალზე საარტილერიო შტურმის განხორციელების თაობაზე.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ირგვლივ განვითარებული ბოლოდროინდელი ვნებათაღელვის გამო, „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთ წარმომადგენელს, ეჭვი შეაქვს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში და ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადებას აკეთებენ ივანიშვილი-პუტინის გავლენებთან დაკავშირებით, ამიტომ რა გასაკვირია, თუ ისინი უნდობლობას გამოუცხადებენ ევროკავშირის სპეციალურ კომისიას, ჰაიდი ტალიავინის თავმჯდომარეობით, მაგრამ მკითხველს მაინც უნდა შევახსენოთ, თუ რა წერია ამ დასკვნაში: „ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის საარტილერიო დაბომბვით 2008 წლის 7-დან 8 აგვისტოს ღამით დაიწყო ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოში, თუმცა, ეს იყო დიდი ხნის განმავლობაში მზარდი დაძაბულობის, პროვოკაციებისა და ინციდენტების კულმინაცია.

ღია სამხედრო მოქმედებები დაიწყო ფართომასშტაბიანი ქართული სამხედრო ოპერაციით, რომელიც განხორციელდა ქალაქ ცხინვალისა და მისი შემოგარენის მიმართულებით 7-დან 8 აგვისტოს ღამით. ოპერაცია საქართველოს მასიური საარტელერიო შეტევით დაიწყო...

მისიას არ შეუძლია, განიხილოს საქართველოს ბრალდება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტომდე რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო შემოჭრის შესახებ, როგორც საკმარისად დასაბუთებული“.

გარდა იმისა, რომ ხსენებული დასკვნა არამართებულად მიიჩნევს ქართული მხარის მიერ სამხედრო მოქმედებების ამ ფორმით განხორციელებას და ნებისმიერი თავმოყვარე ქართველისათვის არასასიამოვნო მოსასმენია, თვალს ჭრის ტერმინი – „სამხრეთ ოსეთი“, რომელიც პოლიტიკური მიზანშეუწონლობის გამო, თავის დროზე იქნა გაუქმებული და ყოვლად დაუსაბუთებლად აღადგინა მ. სააკაშვილმა. უფრო მეტიც, არათუ აღადგინა, მისი ტერიტორიული არეალი გააფართოვა და ახალგორის რაიონი მიუერთა, რაც, რბილად რომ ვთქვათ, მიზანმიმართული დაუდევრობა იყო. თუმცა, მისი თვითნებობა ამით არ დამთავრებულა და სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი კოდორის ხეობა აფხაზეთის იურისდიქციაში მოაქცია, რასაც იურიდიული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს და სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს!

მე უკვე ისტორიის სახელმძღვანელოებში ვარო, – ჩვეული რიხით განაცხადა სააკაშვილმა. ჰეროდოტეს ავტორიტეტული აზრით, ისტორია ობიექტური მეცნიერებაა და სწორედ ობიექტურობა მოითხოვს, კუთვნილი ადგილი დაეთმოს სააკაშვილს ისტორიის სახელმძღვანელოში დაუდხანის და კონსტანტინე მირზას გვერდით!

ისტორიას გამარჯვებული წერსო, – ამბობდა იულიუს კეისარი. აგვისტოს ომში გამანადგურებელი მარცხის მიუხედავად, ნაციონალებმა ჩათვალეს, რომ გაიმარჯვეს, ამის დასტურად საზეიმო მსვლელობაც მოაწყვეს რუსთაველის გამზირზე და ახალი ისტორიაც შეთხზეს, რომელშიც ქართული სახელმწიფოებრიობის ათვლა 2003 წლიდან იწყება.

შოკის მომგვრელი იყო რუსეთის 58-ე არმიის მეთაურის, გენერალ **ბორისოვის** კომენტარი ამ უაღრესად მგრძნობიარე თემასთან დაკავშირებით: **„სხვათაშორის, მინდა იცოდეთ, რომ ვარიანში მაშინ ჩვენი ჯარის ნაწილები არ იდგა! ასე რომ, გარდაცვლილი ჯარისკაცების იქიდან გატანა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა!..**

ჩვენ ლენინგორში (დღევანდელი ახალგორი) ჯარის შეყვანას არც ვგეგმავდით, მაგრამ ბატონმა კახა ლომაიამ ეს საკითხი პრინციპულად წამოგვიყენა და პირადად მე არაერთგზის მთხოვა ლენინგორში ჩემი სადესანტო როტა გამეგზავნა, თქვენ გესმით? ქართველი კახა ლომაია მე, რუს გენერალს, მევედრებოდა, ახალგორში ჩემი „დესანტნიკები“ შემეყვანა!“

ქართველ საზოგადოებას, ცხადია, უფლება აქვს, არ დაიჯეროს რუსი გენერლის ნათქვამი, მაგრამ იმავე საზოგადოებას იმის უფლებაც აქვს, სარწმუნოდ მიიჩნიოს, რომ კახა ლომაია ამის გამკეთებელი იყო, პრეზიდენტის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში! ამიტომ, პოლიტიკაში არაფერი ესაქმება ისეთ ადამიანებს, რომელთაც სამშობლოს განცდა არ აქვთ და სახელმწიფოებრივად აზროვნება არ შეუძლიათ.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა შეიარაღებაში „რაგატკები“ გვქონდა, ახლა თავდაცვის უწყებას ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობსო, – გამომწვევად ლაპარაკობდა საკაშვილი ერთ-ერთ თავყრილობაზე და მეტი დამაჯერებლობისათვის მუქარაც მოაყოლა რუსეთის მისამართით: თუ დაგვბომბავენ, კაი ჩიტსაც დაიჭერენო!

ჩიტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თვითონ საკაშვილმა, ოქრუაშვილი დააჭერინა, რის გამოც, სამხედრო სფერო კიდევ უფრო მეტი დილეტანტების ხელში აღმოჩნდა, მისგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.

რამდენად უმეცარი და წინდაუხედავი უნდა იყოს კაცი, რომელიც სერიოზული გამომეტყველებით უხსნის საზოგადოებას, რომ რუსებს შეიარაღებაში ჟანგიანი ტანკები და ნესტისაგან დაობებული ჭურვები აქვს, ქართული არმია კი ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით არის აღჭურვილი.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲡᲐᲠᲙᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲪᲣᲓᲘ ᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲔᲑᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲐ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲛᲘᲡᲢᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲐ

ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲛᲖᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲘᲜᲨᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ, – ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲣᲥᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ (IWPR) ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ, ᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲡ ᲢᲐᲚᲘᲐᲕᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲠᲘᲕᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲘᲛ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲔᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

„ᲩᲕᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲒᲕᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲜᲐ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲘᲥᲕᲔ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲕᲔᲜᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲒᲕᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲠᲣᲚᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲭᲠᲐ ᲘᲧᲝ. ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲔᲡ ᲪᲣᲓᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲕᲣᲨᲕᲘᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲪ. ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲛᲖᲐᲓ – ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲘᲜᲨᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲝᲛᲗᲐᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲧᲝ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲐᲪᲘᲐ. 7 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲦᲐᲛᲘᲗ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲘᲕᲓᲘᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲔᲠᲝᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲘ. ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐᲖᲔ ᲕᲐᲞᲘᲠᲔᲑᲓᲘᲗ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ. ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲘᲧᲝ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲓᲐᲕᲠᲩᲘ. ᲛᲔᲠᲩᲘᲕᲜᲐ, ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲬᲐᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘ“, – ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐᲣᲡᲕᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐᲖᲔ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲣᲡᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲔᲡᲮᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲪᲔᲪᲚᲔ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

„ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲘ ᲘᲧᲝ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ �გᲐᲕᲚᲐ, �გᲖᲔᲑᲘᲡ ᲑᲚᲝᲙᲘᲠᲔᲑᲐ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲛᲐᲗ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ ᲓᲐᲕᲑᲚᲝᲙᲐᲕᲓᲘთ. ᲠᲝᲙᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲕᲡᲔᲑᲝᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲢᲐᲜᲙᲔᲑᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲔᲕᲚᲝ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲕᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲗ. ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲯᲐᲕᲐᲨᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲜᲔᲚᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ“, – ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ. ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ ᲠᲝᲜᲐᲚᲓ ᲐᲡᲛᲣᲡᲘᲡ ᲝᲛᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ �გᲐᲐᲮᲡᲔᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ. ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲠᲑᲘᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲓᲐ.

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲓᲐᲣᲨᲕᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲖᲔ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲬᲐᲕᲘᲓᲝᲓᲐ. ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐ ᲡᲐᲠᲙᲝᲖᲘᲛ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ: **„ᲡᲐᲠᲙᲝᲖᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲙᲚᲝᲣᲜᲘᲕᲘᲗ ᲘᲥᲪᲔᲝᲓᲐ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲐᲠᲐᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ. ᲡᲐᲠᲙᲝᲖᲘᲡ ᲐᲠᲐᲙᲝᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝ�პᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲘᲛᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲘᲠᲓᲖᲔ ᲒᲐᲬᲘᲐ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲓᲐᲗ, ᲛᲐᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲜᲐ ᲔᲡ ᲛᲘᲡᲘᲐ. ᲡᲐᲠᲙᲝᲖᲘᲛ ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲓᲐᲛᲐᲨᲘ ᲩᲐᲐᲩᲠᲗᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ. ᲘᲡᲘᲪ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲛ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲑᲡ ᲪᲔᲪᲚᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲔᲬᲧᲕᲢᲐᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲪᲣᲓᲘ ᲠᲐᲛᲔᲐ: ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲩᲠᲩᲔᲑᲐ, ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲖᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲒᲕᲐᲠᲘ ᲚᲔᲒᲘᲢᲘᲛᲣᲠᲘ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ. ᲡᲐᲠᲙᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲪᲣᲓᲘ ᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲛ ᲓᲐᲕᲐᲒᲕᲘᲐᲜᲔᲗ. ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲯᲐᲕᲐᲨᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ ᲜᲔᲚᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ“,** – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲜᲮᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲖᲔ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲫᲐᲚᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲛᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲛᲛ 2019 ᲬᲚᲘᲡ 31 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲪᲜᲝ ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲐ ᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐ�პᲔᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ 2018 ᲬᲚᲘᲡ 22 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲘᲜᲗᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲜᲐᲨᲐᲕᲔᲓ ᲘᲥᲜᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘᲡ 333-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲛᲔ-3 ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ „Ბ“ ᲥᲕᲔᲞᲣᲜᲥᲢᲘᲗ, ᲠᲐᲪ �გᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲡᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲐᲡ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ 25,117-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ „Ე“ ᲥᲕᲔᲞᲣᲜᲥᲢᲘᲗ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲐᲓ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ, ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲓ ᲓᲐ ᲖᲝᲛᲐᲓ, 2012 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ „ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲨᲝᲗᲐᲜᲗᲥᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲒᲐᲜᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲐ 6 ᲬᲚᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲗ ᲓᲐ 2 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ 3 ᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲓᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲔᲠᲗᲕᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ წᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲐᲜᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲞᲔᲚᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐ�წᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ 2005 ᲬᲚᲘᲡ 29 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ, �გᲐᲖᲔᲗ „ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲨᲘ“ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲘᲛᲬᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ �გᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ „ᲕᲐᲚᲔᲠᲘ �გᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲑᲡ“. ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲓᲐ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ წᲐᲐᲠᲗᲕᲔᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ �გᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲝᲓ ᲓᲐᲡᲯᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲘᲛᲭᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲚᲐ ᲛᲝᲔᲮᲓᲘᲜᲐ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ �გᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲣᲐᲠᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲕᲐᲚᲔᲠᲘ �გᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲘᲛᲭᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲡ.

**„ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲛᲘᲡ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ Ე.Კ.-Ს ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲗ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲓᲛᲘᲬᲔᲕᲜᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ 2005 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲡᲝᲡ-ᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲛᲔᲑᲠ

◎ მერე იქნება გვიან!

საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის თაობაზე

საქართველოს ორი საუკუნე დამოუკიდებლობა ჰქონდა დაკარგული. ქართული სისხლი დიდი იმპერიის სადიდებლად იღვრებოდა. ჩვენი თავი ჩვენ აღარ გვეკუთვნოდა და ჩვენს მიწაზე ინტენსიურად სახლდებოდნენ პროლეტარები ყველა ქვეყნისა. ქართული ფორმალურად რჩებოდა სახელმწიფო ენად. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეთნიკურად იმდენად აჭრელებული ქვეყანა შემოგვრჩა, რომ ზოგიერთი ჩვენი მოქალაქე საერთოდ ვერ ფლობს ქართულ ენას.

დამოუკიდებლობას გადაჩვეული ქვეყნის ხელმძღვანელობამ თავიდანვე მრავალი შეცდომა დაუშვა. ქვეყანა უცხოეთში შემუშავებული გეგმით იმართება, რომელშიც ყოველივე ეროვნული იგნორირებულია. სახელმწიფო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობებზე უცხოეთში განათლებამიღებული 25-30 წლის ახალგაზრდები ინიშნებიან, დარგებს დილეტანტები ხელმძღვანელობენ. შედეგი – 3000 წლის სახელმწიფოებრიობის მქონე უდიდესი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანა უფსკრულის პირასაა მიყვანილი.

ულოცავენ გვარის მასახელებელს

ვაჟა ნადირაშვილი – 80

დაიბადა 1939 წლის 7 აგვისტოს თბილისში. 1963 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ხიდებისა და გვირაბების მშენებელი ინჟინრის სპეციალობით. შრომითი მოღვაწეობა დაიწყო „საქმთავარენერგოს“, საშენმასალათა სამინისტროს, ქ. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების სისტემებში.

1979 წელს დაინიშნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს, თბილისის ჯანდაცვის ობიექტების კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარ ინჟინრად. მისი უშუალო მონაწილეობით თბილისში აშენდა ჯანმრთელობის დაცვის მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტი.

2007 წლიდან არის შპს „ივერიამშენ-პლუსის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი.

2009 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება.

არის საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდის დამფუძნებელი და თავმჯდომარე.

ამ ფონდის ეგიდით გამოსცა საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია. იყო ამ გამოცემის მთავარი რედაქტორის მოადგილე.

2011 წლიდან აქტიურად ჩართულია საგვარეულო მოძრაობაში.

ამჟამად არის საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის თავმჯდომარე და ნადირაშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე – გვარის წინამძღოლი. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა წიგნი „გვარსახელები საქართველოში“, სადაც შევიდა საქართველოში მცხოვრები ყველა – 96700 გვარი.

არის ფიზიკის მეცნიერებათა აკადემიის და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ვულოცავთ ბატონ ვაჟას 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, მხნეობასა და წარმატებებს ცხოვრებაში.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

ჩიქობავას ქ. №42/5.

599 79-76-79; 568 82-09-84

კრიზისში მყოფი ქვეყნის აღსადგენად საჭიროა დროულად შემუშავდეს სახელმწიფოს მოწყობის გეგმა :

— აღდგენილ იქნას ენის პალატა სრული მასშტაბით. ენა ცოცხალი ორგანიზმია ერისა. იგი დროის შესაბამისად იხვეწება. ამავე დროს, საჭიროა ენის სისტემატური დაცვა ბარბარიზმებისა და უცხო ენების ინტერვენციისგან;

— ქვეყნის მოქალაქე აუცილებლად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას, რათა პიროვნებას თავისუფლად შეეძლოს ჩართვა სახელმწიფოს ცხოვრების ყველა სფეროში;

— საქმის წარმოება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ სახელმწიფო ენაზე, რომ ყველა დონეზე იყოს შესაძლებელი დარგების ნორმალური მართვა;

— მიწის მესაკუთრე შეიძლება იყოს მხოლოდ ქვეყნის მოქალაქე;

— პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტარის მინიმალურ ასაკად დადგინდეს 40 წელი. ადამიანი ინტელექტუალური განვითარების მაქსიმუმს ავლენს 40-65 წლის ასაკში. „პოლიტიკა ხელოვნებაა, რომელსაც შეუძლია შეუძლებელი შესაძლებლად აქციოს“



(უილიამ ჩერჩილი) და იგი ასაკთან ერთად იხვეწება;

— პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტარი შეიძლება გახდეს მოქალაქე, რომელიც დაიბადა და ბოლო ათი წელი მუდმივად ცხოვრობს საქართველოში, რათა სრულად აცნობიერებდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს;

— პარლამენტართა რაოდენობა განისაზღვროს ასი წევრით, რაც ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ოპტიმალური რაოდენობაა;

— სახელმწიფო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნისას (არჩევისას) მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროფესიის განათლება და მუშაობის სტაჟი, რათა შეძლოს, სათანადოდ შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა;

— აღდგენილ იქნას პირად დოკუმენტებში ეროვნება და მამის სახელი, რათა დაცულ იქნას ეროვნულ ისტორიული ტრადიცია და პიროვნების ცნობის წესი;

— პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტარსა და სახელმწიფო ხელმძღვანელ თანამდებობებზე არჩეულ (დანიშნულ) მოქალაქეს საშუალო განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული საქართველოში, რათა სათანადო დონეზე ჰქონდეს გათავისებული ქვეყნის ისტორია, გეოგრაფია, ეთნოგრაფია, ტრადიციები, კულტურა და ხელოვნება.

საქართველოში განათლების ჩამოშლა თავისუფლების მოპოვებისთანავე დაიწყო ქვეყნის მეთაურთა მიერ არასწორად გაგებული განათლების როლის, ადგილის, მნიშვნელობის, პრესტიჟულობის განსაზღვრით. ყოველგვარი საჭიროების გარეშე გახსნილმა უმაღლესმა სასწავლებლებმა წალეკა ქვეყანა. განვითარებულ ქვეყნებში 200-250 ათას ადამიანზე ერთი უმაღლესი სასწავლებელია, ჩვენთან კი – ყოველ 17 ათასზე! საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, მხოლოდ გაუმართლებელი ამბიციურობის გამო, ცოდნის დონის მიუხედავად, ყველანი მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში მიდიან. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სხვა სურათია: გერმანიაში სკოლის დამთავრებისთანავე უმაღლესში მიდის 5-6%, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში – 11%. ამერიკის შეერთებულ შტატებში საშუალო სკოლა სამსაფეხურიანია: ელემენტარული – 6 წელი, უმცროსი – 3 წელი და უფროსი – 3 წელი. უმცროსი საშუალო სკოლის ბოლო კლასში ასწავლიან 1-2 ფაკულტატურ საგანს და იწყება პროფორიენტაცია. პროფესიის არჩევაში მოსწავლეებს დახმარებას უწევენ კონსულტანტი ფსიქოლოგები. უფროს საშუალო სკოლას ქვეყნისთვის საჭირო კადრების რაოდენობის ობიექტური განსაზღვრით აქვს განხრები: აკადემიური, ზოგადკომერციული, სამრეწველო-ინდუსტრიული, საოჯახო, სასოფლო-სამეურნეო. უმაღლესში იღებენ მხოლოდ აკადემიური განხრით კურსდამთავრებულთა 25%-ს.

საქართველოში, ბოლო 25 წლის განმავლობაში განათლების სისტემაში განუკითხაობის გამო, სკოლის დამამთავრებელ კლასებში მოსწავლეთა დიდი ნაწილი არ დადის და რეპეტიტორებთან ემზადება. საშუალო სკოლაში სასწავლო პროცესის პედაგოგიურად სწორად წარმართვის შემთხვევაში რეალურად და ობიექტურად გამოიკვეთება მოსწავლეთა შესაძლებლობები მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოსამზადებლად. პროფესიული ორიენტაციის მოგვარებისთვის სკოლებში უნდა მუშაობდნენ კვალიფიციური კონსულტანტი-ფსიქოლოგები, როგორც ეს აშშ-ია დანერგილი. განათლების სისტემის სწორად წარმართვა აღკვეთავს სოფლებიდან ახალგაზრდების მასობრივ გადინებას, გააუმჯობესებს ერის დემოგრაფიულ სურათს, უზრუნველყოფს პროდუქციის მწარმოებელი ორგანიზაციების კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებას, მინიმუმამდე დაიყვანს უმუშევართა რაოდენობას და ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ზრდის გარანტი იქნება.

— დაკნინებულია დიდი ტრადიციების მქონე საქართველოს მეცნიერებათა აკადემია: მისი მრავალი ინსტიტუტიც გამქრალია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას სასურველია, გადაეცეს ქვეყნის პრეზიდენტის სასახლის დიდი კომპლექსი, რაც წინაპირობა იქნება საქართველოში მეცნიერების სრული აღზევებისა.

— დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ისტორიული ქართული სოფლების აღდგენა. მტრის მუდმივი შემოსევების გამო ქართლის სამხრეთ ნაწილის ბევრ რაიონში და სამაჩაბლოში უქართველებოდ დარჩენილი, დანგრევის პირას მისული ისტორიული ძეგლებიღა დარჩა. უყურადღებობითა და მოუვლელობით ხევსურეთი, თუშეთი და რაჭა დაიცალა. სწორად წარმართული მუშაობით ჯერ კიდევ შეიძლება სოფლების ნგრევის, ქართველების დემოგრაფიული კატასტროფის შეჩერება, რაც გაეროს დემოგრაფიულმა ფონდმა გვიწინასწარმეტყველა:

— აუცილებელია სასწრაფოდ შეიქმნას დემოგრაფიის სამინისტრო, რომლის საქმიანობაშიც სახელმწიფოს გარდა (ნიჭიერი და მრავალჭირგამოვლილი ებრაელების მსგავსად), ბევრი საქართველოში მცხოვრები და ქვეყნის გარეთ მოღვაწე ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.

ნოდარ კუჭავა,

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი 1994-95 წლებში, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, პედაგოგიკის დოქტორი, 1988-1992 წლებში ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმო გაერთიანების უფროსი, 1996-2006 წლებში ტურიზმის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

ᲒᲣᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲑᲔᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ – ᲥᲔᲠᲐ

ᲑᲔᲕᲠᲛᲐ შეიძლება არც იცოდეს, რომ ქერათმიან ქალბატონებს თავიანთი დღესასწაული აქვთ – 31 მაისს მათი საერთაშორისო დღე აღინიშნება.

თუ რატომაა, რომ ქერათმიანი ქალიშვილები მამაკაცებს სხვებზე მეტად აღელვებენ, ამის ახსნა დღემდე დამაჯერებად ვერავინ შეძლო. მაგრამ, თუ ერთი მხრივ მათ ფეხთ მამაკაცთა უმეტესი ნაწილია, მეორე მხრივ, ორივენი მათ შესახებ ანეკდოტებს თხზავენ, ზოგჯერ საკმაოდ საწყენსაც. არადა, ქერათმიანებიც ხომ სხვებივით ადამიანები არიან, ოღონდ, შესაძლოა ცოტათი უფრო ლამაზები...

ლონდონის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა პროფესორ **პიტერ ეიტონის** ხელმძღანელობით 1500 მამაკაცს ერთი და იგივე ქალბატონის სამი ფოტოსურათი აჩვენეს, მაგრამ თითოეულს სხვადასხვა ფერად – შავად, ყღალად და ქერად ჰქონდათ შეღებილი. რესპონდენტთა 51 პროცენტს შავთმიანი მანდილოსანი მოეწონათ.

პროფესორ **ეიტონის** აზრით, ფაქტია, რომ ისტორიულად ქერათმიანი ქალბატონები მამაკაცებს იზიდავდნენ, მაგრამ ამჟამად ქალის როლი საზოგადოებაში შეიცვალა და, მამაკაცები მეგობარ მანდილოსანში უფრო თანასწორ პარტნიორს ეძებენ. ქერათმიანი ქალიშვილები კი მათში სისუსტესთან ასოცირდებიან, რომელსაც დაცვა სჭირდება.

მაგრამ გამოკითხვები გამოკითხვებად რჩება, უძველესი ინსტინქტები კი ჯერაც არავის გაუუქმებია. ფრანგმა ფსიქოლოგმა **ნიკოლა გუეგვენმა** ღამის კლუბში ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარა. ორი კვირის მანძილზე რამდენიმე ქალიშვილი ერთი საათის განმავლობაში სხვადასხვა ფერის პარიკით გადიოდა დარბაზში – ქერათი, ყღალით, წაბლისფერით და შავით – მკვლევარი კი თვლიდა, თუ რამდენჯერ პატიჟებდნენ მათ მამაკაცები საცეკვაოდ. აღმოჩნდა, რომ ქერაპარიკიანები დაპატიჟეს 127-ჯერ, შავთმიანები – 82-ჯერ, წაბლისფერთმიანები – 84-ჯერ, ყღალთმიანები კი მხოლოდ 20-ჯერ.

არადა, გამოკვლევებით დადგინდა, რომ სამსახურში ქერათმიანი ქალბატონები შავგვრემანებზე გაცილებით ნაკლებ გასამრჯელოს იღებენ. გარდა ამისა, გამოკითხულ მამაკაცთა 71 პროცენტმა აღიარა, რომ შავთმიან ქალებს ისინი ქერათმიანებზე გაცილებით „სერიოზულად აღიქვამენ“. 77 პროცენტმა კი სულაც ბრძანა, რომ შავგვრემანები ქერათმიან ქალიშვილებზე „უფრო ჭკვიანები“ არიან.

კვინსლენდის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სოციოლოგების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად კი გამოიტანეს დასკვნა, რომ **„ქერათმიანი ქალბატონები უფრო მიმზიდველად გამოიყურებიან, მაგრამ ამასთანავე, ინტელექტუალურად შედარებით ნაკლებად განვითარებულებად აღიქმებიან“.**

ეს მოსაზრება ოჰაიოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა გააცამტვერეს, როცა დაადგინეს, რომ ქერათმიან მანდილოსანთა ინტელექტის კოეფიციენტი (IQ) საშუალოდ – 103.2, წაბლისფერთმიანთა – 102.7, ყღალთმიანთა – 101.2, ხოლო შავგვრგემანთა 100.5-ია.

ამერიკელებს მხარი აუბეს შვედეთის ბორესის უნივერსიტეტის მკვლევარებმაც, რომლებმაც ოთხი წლის მანძილზე 30 ათასი შვედი ქალბატონები შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ ქერათმიანები საშუალოდ უფრო გონიერები არიან, თანაც ორიენტაციის უკეთესი უნარიც აქვთ. ყველა სიკეთესთან ერთად, ეს მტკიცება სამართლიანი გამოდგა თმაშეღებილებისთვისაც. მეცნიერები ამას იმით ხსნიან, რომ **ქერა თმა ქალს უფრო გულადსა და გამბედავს ხდის.**

ᲡᲘᲑᲔᲠᲔ – ᲭᲐᲛᲘ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ?

ᲑᲝᲚᲝᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში ადამიანები ბიოლოგიურ ასაკზე უფრო ადრე ბერდებიან.

მეცნიერთა შეფასებით, ჩვენში 60 წლის ადამიანები იმ სნეულებებს უჩივიან, რომლებიც სხვაგან 65 წლის ასაკში ვითარდება, – ასეთია ახალი მასშტაბური გამოკვლევის შედეგი, რომელიც ლონდონის ავტორიტეტულ სამედიცინო ჟურნალ „ლანცეტში“ გამოქვეყნდა.

მედიცინის სპეციალისტთა საერთაშორისო ჯგუფმა 196 ქვეყნის მოსახლეობის მონაცემები შეადარა და აღმოჩნდა, რომ **დაბერებასთან დაკავშირებული დაავადებები სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანებში განსხვავებულ ასაკში ვლინდება.** კერძოდ, გამოკვლევაში ლაპარაკია 92 ავადმყოფობაზე, რომლებიც ადამიანის ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის გაუარესებას იწვევს.

იმ ქვეყნების ნუსხის სათავეში, სადაც მოსახლეობა ყველაზე უფრო ადრე ბერდება, **პაპუა ახალი-გვინეაა.** ამ ქვეყნის მცხოვრებნი 45 წლის ასაკში თავს 65 წლისებად გრძნობენ. მეორე ადგილზეა **მარშალის კუნძულები,** მერე მოდიან – **ავღანეთი, ვანუატუ, სოლომონის კუნძულები, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ლესოტო, კირიბატი, გვინეა-ბისეუ** და **მიკრონეზია.** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნის მცხოვრები 55 წლის ასაკში ბერდება.

გამოკვლევის თანახმად ყველაზე გვიან იაპონიაში ბერდებიან: 76 წლის ასაკში თავს ისევე გრძნობენ, როგორც 65 წლისა. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა **შვეიცარიაში, საფრანგეთსა** და **სინგაპურში** – 65 წლის ადამიანისთვის დამახასიათებელი დაავადებები იქაურებს 75 წლის ასაკში უდგინდებათ. საკმაოდ მაღალი შედეგები აქვთ **სამხრეთ კორეასა** და **ესპანეთში,** ასევე **იტალიაში, პუერტო-რიკოსა** და **პერუში.**

ᲘᲪᲘᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ...

...**ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐᲗᲐ** ფილმების ცნობილი რეჟისორის ალფრედ ჰიჩკოკის ფერფლი წყნარი ოკეანის თავზე გააფრქვიეს?

...ნახევრადპატიოსან თვალს ონიქსს არაბები „სევდის ქვად“ მიიჩნევენ?

...ჩვეულებრივი ჯანსაღი კანის პატრონსაც კი ყოველდღიურად 100 თმის ღერი სცვივა?

...სანაგვეზე გადაგდებული პლასტმასის ბოთლი პოლიგონზე 500 წელი არ იშლება?

...სახელი ილჰამი „ღვთიურ შთაგონებას“ ნიშნავს?

...ტაილანდის მონარქს ამერიკის მოქალაქეობა აქვს?

...პარმული ლორი და ნესვი – ერთ-ერთი გამორჩეული ევროპული დელიკატესია?

...ეროვნული სამზარეულოს ერთ-ერთ კერძს, „მათხოვრის ქათამს“, ჩინელი მზარეულები თიხაში წვავენ?

ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲗᲣᲨᲣᲚᲘ ᲭᲘᲭᲔᲑᲘ!

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ კულინარიის ბოლო მოდა ყვავილების მენიუ გახლავთ. დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება ნასტურციანი რიზოტო, შემწვარი კურდღელი ვარდის ფურცლებით, ფუა-გრა იების კანფეტებით. საქმეში ტიტებიცაა გასული, რომლის ბოლქვები, სხვა დეკორატიული ყვავილების ბოლქვებისგან განსხვავებით, შხამიან ნივთიერებებს არ შეიცავს.

ტიტების შემწვარი ბოლქვები გემოთი კარტოფილს ჰგავს, ისინი მდიდარია სახამებლითა და შაქრით. ასევე იჭმევა ბევრი ჯიშის ტიტის ყვავილები და ფოთლები, ოღონდ მათ სწორად მომზადებას საგანგებოდ სწავლა უნდა.

მაგალითად, კანადაში ძალიან პოპულარულია ახალგაზრდა ტიტების მოთუშული ფურცლები და კოკრები, რომლებიც გემოთი ბროკოლს ან სალათას მოგვაგონებენ. ოღონდ გახსოვდეთ: მაღაზიაში ნაყიდი ტიტების ჭამა სახიფათოა, ვინაიდან ტრანსპორტირებისას კოკრების ცოცხლად შესანახად მათ სპეციალური ხსნარებით ამუშავებენ. ამიტომ, საჭმელად ან საკუთარი გაზრდილი ტიტები უნდა მოამზადოთ, ანდა ტყეში დაკრეფილი ყვავილები.

ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ

ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ცვლილებების შედეგად ალერგიკების რიცხოვნობა იზრდება.

დადგენილია, რომ იმ რეგიონებში, სადაც გაზაფხული ძალიან ადრე იწყება, ანდა პირიქით, აგვიანებს, ალერგიით დაავადებულთა რიცხვი 15 პრცენტით მატულობს.

პირველ შემთხვევაში მცენარეთა ყვავილთა დამტვერიანების დრო იჭიმება, მეორეში კი ყვავილების მტვერის შემცველობა ჰაერში იზრდება. მეცნიერები ახლა ამ ცვლილებებთან ადაპტირების ხერხებს ეძებენ.

ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲐᲡᲐᲙᲘ

40 ᲬᲔᲚᲘ – ყველაზე სახიფათო ასაკია მამაკაცებისთვის.

15-65 წლის რამდენიმე ათასი პაციენტის სამედიცინო მონაცემთა ანალიზის შედეგად, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ინსულტი და გულის მუშაობაში დარღვევები ყველაზე ხშირად 40 წლის ასაკის მამაკაცებს მოსდით.

რისკის ჯგუფში არიან თამბაქოს მწეველები და მაღალი არტერიული წნევის მატარებლები.

ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

პოზიციას ვინარჩუნებთ

მსოფლიო რაგბიმ განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 74,42 ქულით მე-12 ადგილი შეინარჩუნა.

„ბორჯღალოსნებს“ წინსვლის შანსი აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე ექნებათ, როდესაც 2019 წლის მსოფლიო თასის წინ საკონტროლო ტესტებს ჩაატარებენ. ცხადია, სამხრეთაფრიკულ „ქინგზთან“ მატჩი (27 აგვისტო) სათვალავში მისაღები არაა, შოტლანდიელებთან შეხვედრების (31 აგვისტო და 6 სექტემბერი) შედეგები კი რეიტინგში აუცილებლად აისახება.

ამასობაში წყნარი ოკეანის თასზე მოპოვებული მე-2 გამარჯვების წყალობით იხეირა აშშ-ს ნაკრებმა, რომელმაც ფიჯის დედაქალაქ სუვაში სამოელებს 13:10 სძლია, თავი 72.53 ქულას მოუყარა და სწორედ „ბორჯღალოსანთა“ უკან განლაგდა. აღნიშნული წარმატების წყალობით აშშ-ს გუნდმა უკან იტალია (72.04) და ტონგა (71.49) მოიტოვა, რომელიც თავის მხრივ ოსაკაში მასპინძელ იაპონიასთან უშანსოდ — 7:41 დამარცხდა.

კლასიფიკაციაში ცვლილებებს წყნარი ოკეანის თასის გათამაშების დასკვნითი რაუნდის შემდეგაც უნდა ველოდოთ, როდესაც ტიტულისთვის აშშ იაპონიას შეერკინება, ტონგა კანადას დაუხვდება, ხოლო ფიჯი სამოას უმასპინძლებს.

შეგახსენებთ იმასაც, რომ დამდეგ უქმეებზე რაგბი ჩემპიონშიფის 2 შეხვედრაც ჩატარდება. რეიტინგის უდავო ლიდერი ახალი ზელანდია მეექვსეადგილოსან ავსტრალიას ესტუმრება, არგენტინის ნაკრები კი სამხრეთ აფრიკას გაეჯიბრება.

კოგა კოგახიძე

◎ ლეგიონერი

სპარინგები ასეთია...

ესპანურმა „იბეროსტარ ტენერიფემ“, რომლის რიგებშიც ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი ჩაირიცხა, წინასასეზონო მატჩები დაგეგმა, შესაბამის პოსტერზე კი სწორედ ჩვენებური განათავსა, რაც იმის მანიშნებელია, რომ გიოს გუნდში დიდი როლი უნდა დაეკისროს.

ჩუს ვიდორეტას მიერ განწვრთნილი კუნძულელები პირველ საკონტროლო შეხვედრას 4 სექტემბერს „სასკი ბასკონიასთან“ ჩაატარებენ, შემდეგ კი ასეთი გრაფიკი აქვთ: 6 სექტემბერი — „სარაგოსა“, 13 და 15 სექტემბერი — „ფუენლაბრადა“, 19 სექტემბერი — „ბასკონია“, 21 სექტემბერი — „მანრესა“.

როგორც ხედავთ, 4-სა და 19-ში ტენერიფელები ძალებს ბასკთა უმთავრესი გუნდის წინააღმდეგ მოსინჯავენ, ამდენად, შერმადინისა და თორნიკე შენგელიას დაპირისპირებებსაც ვიხილავთ.

ამ დროისათვის „იბეროსტარ ტენერიფეში“ ცენტრის პოზიციაზე გიოს კონკურენტები ნაკლებადცნობილი კალათბურთელები — ესპანელი ფრანგუერა და ამერიკელი დერიონ ატკინსი არიან, ამდენად, ქართველ ლეგიონერს სასტარტო ხუთეულში ადგილის დამკვიდრების კარგი შანსი აქვს.

ვთქვათ ისიც, რომ ცნობილი სახეებიდან მომავალ სეზონში შერმადინის თანაგუნდელები ბრაზილიელი მარსელო უერტასი, ფინელი სასუ სალინი და ესპანელები — პაბლო აგილარი და დანი დიეზი იქნებიან. საინტერესოა, რომ სალინი და დიეზი გასულ სეზონში, ქართველი კალათბურთელის დარად, მალაგის „უნიკახას“ ღირსებას იცავდნენ.

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

„მანჩესტერ სიტისა“ და ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელს გაბრიელ ჟეზუსს წლევანდელი კოპა ამერიკის ფინალში პერუს წინააღმდეგ (3:1) უღირსი საქციელისთვის კონმებოლის სადისციპლინო კომიტეტმა ორთვიანი დისკვალიფიკაცია მისცა, — გვამცნობს Globo Esporte.



მატჩის 70-ე წუთზე მსაჯმა ჟეზუსს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან დაითხოვა. გაბრაზებულმა შემტევმა ჯერ წყლით სავსე ბოთლს მიარტყა ფეხი, შემდეგ იმ კაბინას დასცხო მუშტები, რომელშიც მსაჯები ვიდეოგამეორებას უცქერენ.

ასე რომ, ჟეზუსს ბრაზილიის ნაკრების გლობალ ტურის უახლოესი მატჩების გამოტოვება მოუწევს.

* * *

„არსენალი“ „ჩელსის“ დავიდ ლუისში 8 მილიონ გირვანქას გადაუხდის და ბრაზილიელს ორწლიან კონტრაქტს გაუფორმებს, — წერს „Mirror“. გამოცემა აღნიშნავს, რომ ლუისმა „ჩელსის“ 7 აგვისტოს ვარჯიში გაცდინა, რასაც 32 წლის მცველის „არსენალში“ მალე გადაბარგებას მიაწერენ.

„მეთოფეები“ ლუისს „ბორდოში“ გადასული ლორან კოშელნის შემცვლელად მოიაზრებენ.

გასულ სეზონში ლუისმა პრემიერლიგის 36 მატჩში 3 გოლი გაიტანა. მისი კონტრაქტი „არისტოკრატებთან“ 2021 წლის ზაფხულამდეა გათვლილი.

* * *

„მანჩესტერ სიტის“ აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი დანილო ამიერიდან ტურინის „იუვენტუსში“ ითამაშებს. როგორც იტალიური გრანდის ვებ-გვერდი იტყობინება, ბრაზილიელთან 5-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა.

28 წლის მცველი ტურინში სეზონში 4.5 მილიონ ევროს გამოიმუშავებს, ხოლო „იუვენტუსმა“ მის სანაცვლოდ ჟოაუ კანსელუ დათმო, თუმცა, ტრანსფერში ფინანსური მოგება ნახა და 28.5 მილიონი ევრო მიიღო.

დანილომ სახელი სამშობლოში, „სანტოსში“ თამაშით გაითქვა, მერე კი „პორტუში“ ირჯებოდა. შემდეგ სამხრეთამერიკელი „რეალის“ ღირსებას იცავდა, ხოლო ბოლო სეზონი „სიტიში“ გაატარა და 59 მატჩში 4 ბურთი გაიტანა. ბრაზილიის ნაკრებში მას 23 მატჩი აქვს ჩატარებული და გოლი არ გაუტანია.

* * *

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი რომელუ ლუკაკუ კარიერას მილანის „ინტერში“ გააგრძელებს. Corriere Dello Sport-ის ცნობით, მხარეებმა ყველა დეტალი შეათანხმეს და გუშინ ტრანსფერიც გაფორმდა.

გარიგების თანახმად „მანჩესტერი“ 65 მილიონ ევროს მიიღებს, რასაც ბონუსის სახით 13 მილიონი ევროც დაემატება. ლუკაკუ „მანჩესტერში“ 2017 წლიდან თამაშობდა და 96 მატჩში 42 გოლი გაიტანა.

* * *

გუშინ მაიამიში, „ჰარდ როკის“ სტადიონზე გამართული ამხანაგური მატჩი „ბარსელონასა“ და „ნაპოლის“ შორის კატალონიური კლუბის გამარჯვებით დასრულდა — 2:1.

ანგარიში მე-18 წუთზე „ბარსელონას“ ნახევარმცველმა სერხიო ბუსკეტსმა გახსნა, რომელიც 42-ე წუთზე ნეაპოლელებმა გაათანაბრეს — ბურთი საკუთარ კარში სამუელ უმტიტიმ ჩაჭრა, გადამწყვეტი გოლი კი ივან რაკიტიჩმა გაიტანა. „ნაპოლისთვის“ ეს მეხუთე ამხანაგური მატჩი გახლდათ ახალი სეზონის წინ, საიდანაც ორი მოიგო, ერთხელ ფრედ ითამაშა და ორჯერ დამარცხდა, ხოლო „ბარსელონამ“ ოთხი წინასასეზონო ტესტ-მატჩიდან სამი მოიგო და ერთი წააგო.

გიორგი ზოთაძე

◎ ოლიმპიზმი

უმთავრესი გამოწვევა

ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელთათვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად ამ ფორუმის პერიოდში (24 ივლისი — 9 აგვისტო) ცხელ ამინდთან ბრძოლა რჩება. იაპონიის მეტეოროლოგიური სამსახურის ცნობით, მარათონელთა სტარტამდე ერთი წლით ადრე, ტოკიოს ახალი ეროვნული სტადიონის სიახლოვეს დილის 6 საათზე მინიმუმ 31 გრადუსი სიცხე და 70-პროცენტიანი ტენიანობა დაფიქსირდა.

ტოკიო-2020-ის ორგანიზატორთა გათვლებით, წინასწარი კვლევები მასპინძლებს მარათონელთა სიცხისგან დასაცავად ზომების მიღებაში დაეხმარება. ამისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი სტარტის გათვალისწინებულზე ადრე აღება იყო. კერძოდ, ქალთა მარათონი 2 აგვისტოს დილის 6 საათზე აიღებს სტარტს, კაცთა მარათონი კი ერთი კვირის შემდეგ, იმავე დროს. საგულისხმოა, რომ აქამდე სასტარტო დროდ 07:30 საათი იყო ჩანიშნული, რომელიც მოგვიანებით 7 საათით შეიცვალა, მაგრამ ათლეტთა, მაყურებელთა და მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის რისკების გათვალისწინებით სტარტის დრო კიდევ უფრო გადაწიეს.

ტოკიო-2020-ის ორგანიზატორთა ცნობით, გზებზე, მათ შორის მარათონისთვის განკუთვნილ ტრასაზე ტემპერატურის დასაგდებად ისეთ სითხეს გააფრქვევენ, რომელიც სითბოს და ულტრაიისფერ სხივებს აირეკლავს. გარდა ამისა, მაყურებლებს უფლება ექნებათ გარკვეული წესების გათვალისწინებით არენებზე საკუთარი ბოთლებით შეიტანონ წყალი, რაც სხვა ოლიმპიურ თამაშებზე უსაფრთოების ზომებისა და სპონსორული ხელშეკრულებების გამო იკრძალებოდა. ასევე თამაშების ორგანიზატორები 13 სპონსორის დახმარებით მოაწყობენ და უზრუნველყოფენ კონდიცირებულ კარვებს და სხვა გადახურულ სივრცეებს.

15-16 აგვისტოს ტოკიოში სიცხესთან ბრძოლის მეთოდებს ტრიატლონის საერთაშორისო კავშირიც გამოცდის, რომელიც ოლიმპიური საკვალიფიკაციო ასპარეზობის ჩასატარებლად ემზადება.

ბეჭან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

„ამორძალთა“ წინააღმდეგ



როგორც იცით, წუხელ თბილისის „დინამო“ ევროპალიგაზე როტერდამის „ფეიენოორდს“ შეხვდა და ისტორიის ხელახლა დაწერას შეეცადა. თუმცა, ჩვენი რუბრიკისათვის საკუთრივ მატჩზე მეტად საინტერესო ისაა, რომ მასპინძელთა კლუბი ქალი ქომაგების სიმრავლის მხრივ თურმე მთელ ჰოლანდიაში უპირველესი ყოფილა.

თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, „ფეიენოორდის“ საშინაო მატჩებზე დამსწრე გულშემატკივართა დაახლოებით 40%-ს ქალბატონები შეადგენენ, რაც ჰოლანდიისთვისაც კი მეტად დიდი და მსუყე მაჩვენებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ როტერადამულ კლუბს არაერთი ცნობილი ნიდერლანდელი მსახიობი, მომღერალი თუ მოდელი ქომაგობს.

როსტომ რაჭველიშვილი

უნიჭიერესი მეცნიერი, ბუმბერაზი ექიმი

აკადემიკოს ლაურ მანაგაძის ხსოვნას



ქართულმა მეცნიერებამ, საქართველოს მედიცინამ, ქართულმა უროლოგიურმა სკოლამ, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა: 74 წლისა გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს უროლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტი, თანამედროვე ქართული უროლოგიური სკოლის ფუძემდებელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლავრენტი (ლაურ) მანაგაძე.

აკადემიკოსმა ლაურ მანაგაძემ 1967 წელს დაამთავრა ი. სეჩენოვის სახელობის მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. მისი ინტერესის სფერო თავიდანვე მედიცინის ისეთი რთული დარგი იყო, როგორიც ტრანსპლანტოლოგიაა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1970-1972 წლებში, იგი მუშაობდა სსრკ სამედიცინო აკადემიის ორგანოთა გადანერგვის ლაბორატორიის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. თუმცა, ინსტიტუტის დამთავრებიდან მალევე, 1972 წელს, იგი დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა განაგრძო კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტში. აღნიშნულ ინსტიტუტში მან განვლო გზა ლაბორატორიის უფროს მეცნიერ-თანამშრომლიდან დირექტორის მოადგილემდე. ამავე ინსტიტუტში მან შეძლო თავისი მიზნისკენ ტრანსპლანტოლოგიის საქართველოში დანერგვა, პირველი დიდი ნაბიჯის გადადგმა. კერძოდ, 1976 წელს ქ. მოსკოვის ტრანსპლანტოლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად მან განახორციელა გვამური თირკმლების გადანერგვის პირველი ოპერაციები.

1985 წელს აკადემიკოსი მანაგაძე ინიშნება ა. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორად. აქედან იწყება ქართული უროლოგიის აღზევების ხანა. თავისი უზომო ნიჭი, ენერგია და ენთუზიაზმი, აკადემიკოსმა მანაგაძემ მთლიანად მოახმარა ქართული უროლოგიის განვითარებას და უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა იგი. მიუხედავად რუსეთში მიღებული განათლებისა, მას კარგად ესმოდა, რომ დარგის განვითარება დასავლეთთან მჭირდო კავშირების გარეშე შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ საბჭოთა იზოლაციის პირობებში, დირექტორად დანიშვნიდან ერთ წელიწადში, 1986 წელს, მან თბილისში მოიწვია მსოფლიო დონის გერმანელი უროლოგები, პროფესორები რუდოლფ ჰოჰენფელნერი და პეტერ ალკენი. ეს იყო ქართული უროლოგიის ევროპისკენ და დასავლეთის ცივილიზაციისკენ შემობრუნების დასაწყისი. მისი დირექტორობის პერიოდში, პრაქტიკულად, არ დარჩენილა ევროპის არც ერთი გამოჩენილი უროლოგი, რომელიც თბილისში არ ჩამოსულიყო ლექციების, გამოცდილების გაზიარებისა და ახალი ოპერაციული ტექნიკის დანერგვის მიზნით.

აკადემიკოს ლაურ მანაგაძის მეცადინეობითა და ევროპელი კოლეგების დახმარებით, ქართულმა უროლოგიამ სწრაფი განვითარება დაიწყო. 1980-1990-იან წლებში, მიუხედავად ქვეყანაში არსებული ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციისა, საქართველოში დაინერგა უაღრესად თანამედროვე ოპერაციები და პროცედურები, რომლებიც, იმ დროს, არც ერთ საბჭოთა რესპუბლიკაში არ ტარდებოდა. ესენია: ტრანსურეტრული ქირურგია, ონკოლოგიური უროლოგია, რეკონსტრუქციული უროლოგია, ენდოუროლოგია, და მრავალი სხვა. მის მიერ პირველად საბჭოთა კავშირში შესრულდა ისეთი ურთულესი ოპერაციები, როგორიცაა: რადიკალური პროსტატექტომია, რადიკალური ცისტექტომია, შარდის კონტინენტური და არაკონტინენტური დერივაცია, ორგანოშემნახველი ოპერაციები თირკმლის სიმსივნეების დროს, და მრავალი სხვა. წლების მანძილზე უროლოგიური ოპერაციების გასაკეთებლად საქართველოში ჩამოდიოდნენ პაციენტები მთელი საბჭოთა კავშირიდან.

აკადემიკოს ლავრენტი მანაგაძის მიერ ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან ერთად შემუშავდა შარდის კონტინენტური დერივაციის ორიგინალური მეთოდიკა, ე.წ. „თბილისის ტოპრაკი“ რომელიც გამოიცა 7 ენაზე: გერმანულ, ინგლისურ, იაპონურ, პორტუგალიურ, ესპანურ, ჩინურ და რუსულ ენებზე.

1995 წელს უროლოგიის ს/კ ინსტიტუტში, ქართველი და ფრანგი ქირურგების ერთობლივი ჯგუფის მიერ შესრულდა ცოცხალი დონორებიდან თირკმლის ტრანსპლანტაციის პირველი ოპერაციები. 2000 წლიდან კი, ამ ოპერაციებმა პროგრამული ხასიათი მიიღო და წარმატებით გრძელდება დღემდე. ამით აკადემიკოსმა მანაგაძემ პრაქტიკულად აისრულა თავისი ახალგაზრდობის ოცნება საქართველოში ტრანსპლანტოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებით.

2000 წელს აკადემიკოსმა მანაგაძემ დააფუძნა საქართველოს უროლოგთა ასოციაცია (სუა) და გახდა მისი პირველი პრეზიდენტი. მთელი მისი აქტივობა, აღნიშნულ თანამდებობაზე, მიმართული იყო ქართული უროლოგიის ასიმილაციისკენ ევროპულ უროლოგიაში, რაც მან წარმატებით მოახერხა. მისი პირადი ინიციატივით, სუა გახდა ევროპის უროლოგთა ასოციაციისა და ევროპის უროლოგიის საბჭოს აქტიური წევრი. ამან კარი გაუღო ევროპის უროლოგიის საგანმანათლებლო აქტივობებს საქართველოში. კერძოდ, პირველად ქართული უროლოგიის ისტორიაში, ჩატარდა ევროპის უროლოგთა ასოციაციისა და ევროპის უროლოგთა საბჭოს სიმპოზიუმები 1996-1997 წლებში. ხოლო 2000 წლიდან - ევროპის უროლოგიის სკოლის სესიები. მსგავსი აქტივობები გრძელდება დღესაც, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალგაზრდა ქართველი უროლოგების განათლებისა და პროფესიული განვითარების საქმეში. 2002 წელს ქართული უროლოგიის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის აკადემიკოს ლაურ მანაგაძეს მიენიჭა ევროპის უროლოგთა ასოციაციის საპატიო წევრის სტატუსი. პირველს, და ჯერჯერობით ერთადერთს, საქართველოში.

შთამბეჭდავი და უაღრესად ნაყოფიერია ლაურ მანაგაძის სამეცნიერო მოღვაწეობა. 1971 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „თირკმლის კონსერვაცია ჰიპოთერმიისა და ჰიპერბარიული ოქსიგენაციის მეთოდების გამოყენებით“. 1981 წელს კი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ბავშვთა თირკმლების გადანერგვა ზრდასრულ რეციპიენტებში“. აღსანიშნავია, რომ დისერტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ქ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკაში შესრულდა. იგი 350-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 2 სახელმძღვანელოსა და 3 მონოგრაფიის ავტორია, რომელთა დიდი უმეტესობა დაბეჭდილია უცხოეთში. მათგან აღსანიშნავია რუსულ ენაზე გამოცემული მონოგაფია „Оперативная Урология: классика и иновации“, რომელიც რუსულენოვანი უროლოგების სამაგიდო წიგნია მთელს მსოფლიოში. აკადემიკოსი მანაგაძე ინტენსიურად მუშაობდა ამ წიგნის განახლებულ გამოცემაზე, რაც, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

იგი არის 17 წიგნის თანაავტორი, რომელთაგან ერთი ქართულ, ერთი იაპონურ, 5 გერმანულ და 10 ინგლისურ ენებზეა გამოცემული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით, დაცულია 12 საკანდიდატო და 10 სადოქტორო დისერტაცია.

კლინიკურ და სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, აკადემიკოსი ლაურ მანაგაძე ეწეოდა ინტენსიურ პედაგოგიურ მუშაობასაც. 1991-1992 წლებში იგი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, ხოლო 1998-2012 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უროლოგიის კათედრის პირველი ხელმძღვანელი. მან გაზარდა ქართველი უროლოგების რამდენიმე თაობა, რომლებიც სათავეში უდგანან უროლოგიურ სამსახურს საქართველოს ყველაზე წარმარტებულ კლინიკებში. აშშ, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ჰოლანდია, ავსტრია, იტალია, შვეიცარია, შვედეთი, უნგრეთი, პოლონეთი, თურქეთი, ისრაელი, ეს არის არასრული ჩამონათვალი ქვეყნებისა, სადაც აკადემიკოსმა მანაგაძემ მიავლინა სტაჟირებისთვის თავისი მოსწავლეები — ახალგაზრდა ქართველი უროლოგები. ყველა მათგანი დაბრუნდა საქართველოში და საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას ახმარს ქართველ პაციენტებს.

სხვადასხვა წლებში აკადემიკოსი მანაგაძე იყო სადისერტაციო საბჭოს „უროლოგია, ტრანსპლანტოლოგია და ხელოვნური ორგანოები“ თავმჯდომარე; საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი; ქირურგიული დისერტაციების ექსპერტთა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე.

იგი არის ჟურნალ „საქართველოს სამედიცინო სიახლენის“ (**Georgian Medical News**) დამფუძნებელი და სამეცნიერო რედაქტორი.

აკადემიკოსი ლაურ მანაგაძე არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ალექსანდრე წულუკიძის სახელობის მედლისა და გრიგოლ მუხაძის მედლის ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი; ბრწყინვალების ორდენის კავალერი.

ჩვენგან წავიდა უნიჭიერესი მეცნიერი, ბუმბერაზი ექიმი, შესანიშნავი პედაგოგი და თავმდაბალი ადამიანი. აუნაზღაურებელია ქართული მეცნიერებისა და მედიცინის დანაკარგი. აკადემიკოს ლაურ მანაგაძის ნათელი ხსოვნა და მისი საქმენი სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
საქართველოს უროლოგთა ასოციაცია

ანზორ ჩქარეული, სპარტაკ გოგინავა ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ კეთილშობილებით გამორჩეული, ღვაწლმოსილი პიროვნების

ლაურ მანაგაძის

გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ დიდებულ მამულიშვილს, ბატონ დათო ელიაშვილს მისი მეუღლის, უსათნოესი ქალბატონის

მადლენა ხარაბაძის

გარდაცვალების გამო.

დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების: სულგუნი (რეგ. №10; თარიღი: 24.01.2012 წ.); თუშური გუდა (რეგ. №14; თარიღი: 24.01.2012 წ.)

ყველის წარმოების სპეციფიკაციებში ცვლილებების შეტანის შესახებ

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინების დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 07 აგვისტოს №№53746/07 და 53747/07 ბრძანებების საფუძველზე, შეიცვალა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში - საქპატენტი რეგისტრირებული ყველის გეოგრაფიული აღნიშვნების: „სულგუნის“ და „თუშური გუდას“ წარმოების სპეციფიკაციები.

აღნიშნული ინფორმაცია, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში, ერთ ცენტრალურ და ერთ ადგილობრივ გაზეთში.

მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქპატენტში წარმოდგენილი შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუ 3 თვის განმავლობაში საქპატენტში არ შემოვა რაიმე ინფორმაცია აღნიშნულ მასალებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული მონაცემები ყველის გეოგრაფიული აღნიშვნების „სულგუნი“ და „თუშური გუდა“ შესახებ აისახება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სახელმწიფო რეესტრში.

დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა: „სულგუნი“

I. გეოგრაფიული აღნიშვნის დასახელება:
ქართული შრიფტით: **სულგუნი**
ლათინური შრიფტით: **Sulguni** ან **SULGUNI**
რუსული შრიფტით: **сулгуни** ან **СУЛГУНИ**

II. პროდუქტის დახასიათება:
სულგუნი არის წელვადი, გადახელილი ყველი (უფრო მეტად, ევროპაში ცნობილია ჩედერიზებული ტიპის ყველის სახელით), რომელიც მზადდება ძროხის, კამეჩის ან თხის რძისაგან, ან მათი ნარევისაგან. იგი შეიძლება იყოს ჭყინტი, მშრალი, დავარგებული, შებოლილი. სულგუნი შესაძლებელია შეზავებული იქნეს სხვა ინგრედიენტებით (მაგ., პიტნა, ტარხუნა, ქონდარი და სხვა მწვანილები ან სანელებლები, ასევე, აჯიკა, თაფლი, ღვინო და ჭაჭა, თხილი, კაკალი, ნუში).

სპეციფიკური ორგანოლეპტიკური მახასიათებლები:
<u>ფორმა:</u>
ჩვეულებრივ, მომხმარებლისათვის მიწოდებული სულგუნი დაბალი ცილინდრის ფორმის ყველია, ქერქის გარეშე, რომლის მასა შეადგენს 0.25 – 2.2 კგ-ს, დიამეტრი 7 – 30 სმ-ს, სიმაღლე 2 – 7 სმ-ს.
სულგუნი შეიძლება მომხმარებლისათვის მიწოდებული იქნას ასევე ნაჭრებად დაჭრილი ან სხვადასხვა ფორმის სახით, მათ შორის:

- სფერული ფორმა, ზემოდან კვანძით;
- დაწნული;
- ზონრის ფორმა;
- ჩხირის ფორმა;
- ფირფიტის ფორმა;
- სხვა, ნებისმიერი ფორმა (მაგ. ცხოველის, ფრინველის და სხვ.).

<u>ფერი:</u>
ძროხის რძისაგან დამზადებულ სულგუნს შიგნიდან და გარედან ერთგვაროვანი ფერი აქვს, სპილოსძვლისფერიდან ღია ყვითელ შეფერილობამდე.
კამეჩის რძისგან დამზადებული სულგუნი, შიგნიდან და გარედან თეთრი - სპილოსძვლისფერია.
შებოლილი სულგუნი გარედან მოყავისფრო-ოქროსფერია, ხოლო შიგნითა ნაწილი - მოყვითალო შეფერილობისაა.
სულგუნს, რომლის დამზადების ან/და დავარგებისას გამოყენებულია სხვა ინგრედიენტები, მაგალითად, მწვანილები, ღვინო, შეიძლება დაჰკრავდეს ამ ინგრედიენტებისთვის დამახასიათებელი შეფერილობა.

<u>ტექსტურა:</u>
სულგუნი არის მკვრივი, ელასტიური და ფენოვანი. სულგუნს აქვს ფენები, რომელიც უნდა იყოს ადვილად განცალკევებადი. სულგუნის ზედაპირი გლუვია, არ უნდა იყოს მარცვლოვანი, სულგუნი არ უნდა იგლისებოდეს პირში, არ უნდა ჰქონდეს ნასვრეტები, თუმცა ფენებს შორის დასაშვებია მცირე რაოდენობის ღრუსებრი სიცარიელე.
ჭყინტი სულგუნი უნდა იყოს წვნიანი, ადვილად განცალკევებადი ფენებით. ყველის შუაზე გაჭრისას, ფენებს შორის უნდა მოწვეთავდეს სითხე.

<u>სუნი:</u>
სულგუნს აქვს ნედლი რძისა და ნაღების არომატების შეზავებული, მადის აღმძვრელი სურნელი.
შებოლილი სულგუნისათვის დამახასიათებელია ბოლის სუნი, რომელიც სრულად ვერ გადაფარავს შეუბოლავი სულგუნისათვის დამახასიათებელ არომატს.
ინგრედიენტების დამატების შემთხვევაში, სულგუნს დაჰყვება შესაბამისი ინგრედიენტის სუნი.

<u>გემო:</u>
სულგუნს აქვს ნედლი რძის/ნაღების დამახასიათებელი რძემჟავური, ზომიერად მარილიანი გემო. არ უნდა დაჰკრავდეს კვეთისა და სხვა არადამახასიათებელი გემო.
შებოლილი სულგუნი ზომიერად, მაგრამ ოდნავ უფრო მეტად მარილიანია შეუბოლავ სულგუნთან შედარებით. აქვს შებოლილი პროდუქტისათვის დამახასიათებელი არომატი. ინგრედიენტების დამატების შემთხვევაში, სულგუნი იღებს ინგრედიენტის გემოსაც.

<u>ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები:</u>
ცხიმშეცველობა, მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით, სხვადასხვა ტიპის სულგუნისათვის:

- არანაკლებ 30% - ძროხის რძისაგან დამზადებული სულგუნისათვის;
- არანაკლებ 45% - კამეჩის რძისაგან დამზადებული სულგუნისათვის;
- არანაკლებ 40% - ნარევი (კამეჩისა და ძროხის) რძისაგან დამზადებული სულგუნისათვის;
- არანაკლებ 40% - ნარევი (ძროხისა და თხის) რძისაგან დამზადებული სულგუნისათვის;
- არანაკლებ 45% - შებოლილი სულგუნისათვის.

III. პროდუქტის წარმოების მეთოდის აღწერა
<u>რძის მახასიათებლები</u>
სულგუნი მზადდება ნედლი ან პასტერიზებული, მოუხდელი ან ნორმალიზებული რძისგან. დაუშვებელია რძის ფხვნილის გამოყენება.
კლასიკური სულგუნი მზადდება დილის და/ან საღამოს ახლადმოწველილი ნედლი, მოუხდელი რძით.
სულგუნი შეიძლება დამზადებული იქნეს ხელით.

<u>დელამოს მიღება</u>
დელამოს მისაღებად 32 – 39 °C ტემპერატურამდე გამთბარ რძეში შეაქვთ ცხოველური წარმოშობის ან მიკრობული კვეთი. აღნიშნული ტემპერატურის მისაღებად რძე შეიძლება შეთბეს. როდესაც დელამო გამყარდება, ის მზადაა დასაჭრელად.
კლასიკური სულგუნის დასამზადებლად, დაუშვებელია ლაქტობაქტერიული დედოს გამოყენება.

<u>დელამოს დაჭრა</u>
დელამოს ჭრიან ყველის საჭრელით ან ხელით, სანამ მიღებული მარცვლების ზომა თხილის ნაყოფის ზომაზე მეტი და კაკლის ნაყოფის ზომაზე ნაკლები გახდება. შემდეგ, შრატის მოცილებამდე, 5 – 20 წუთით აყოვნებენ იმავე ჭურჭელში.

<u>შრატის დაწრეტა და ყველის მარცვლის მომწიფება</u>
ყველის მარცვალი გადატანილი უნდა იქნას ისეთ რეზერვუარში ან ჭურჭელში, რომელიც შრატის დაწრეტის საშუალებას იძლევა. შრატის დაწრეტის შემდეგ, ყველის მარცვალს ფერმენტაციისათვის ჭურჭელში ან რეზერვუარში ტოვებენ 2 – 24 საათის განმავლობაში. დროის ამ მონაკვეთის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ტემპერატურაზე და იმაზე, გამოიყენება თუ არა ლაქტობაქტერიული დედო.
კლასიკური სულგუნის შემთხვევაში საჭიროა არანაკლებ 5 საათი.
როდესაც სასულგუნე მასაში გაჩნდება მცირე ზომის ნასვრეტები, რომლებიც თანაბრადაა გადანაწილებული მთელ მასაში, სასულგუნე მასა მზად არის შემდეგი ეტაპისთვის, რომელიც უნდა დაიწყოს მანამ, სანამ ნასვრეტების ზომა გაიზრდება და მასა მეტისმეტად შემჟავდება.

<u>სასულგუნე მასის გადახელვა და ფორმირება</u>
შემდეგ ეტაპზე სასულგუნე მასას ჭრიან თხელ ფენებად და ათავსებენ ძალიან ცხელ (არა მდუღარე) წყალში. ურევენ, სანამ მიიღებენ ერთგვაროვან, წელვად, ცომისებრ მასას. დაშვებულია ხის კოვზის გამოყენება.
შემდეგ, ყველისათვის ფორმის მისაცემად, მასა უნდა გადაიზილოს და რამდენიმეჯერ (არანაკლებ ოთხჯერ) გადაიკეცოს, სანამ სასურველ ფორმას მიიღებს, რომელსაც აგრილებენ ცივი მარილიანი ან უმარილო წყლით, ან დარჩენილი შრატით.
„კლასიკური სულგუნი“ უნდა გადაიზილოს ხელით.
ამის შემდეგ ყველი მზადაა დამარილების პროცესისათვის.

<u>დამარილება</u>
დამარილება შესაძლებელია ყველის ზედაპირზე პირდაპირ მშრალი მარილის მოყრით ან ყველის მარილწყალში (წათხში) ჩადებით:
– პირდაპირი დამარილება: მშრალი მარილის პირდაპირი მოყრის შემდეგ, ყველის მოხმარებამდე, მას ინახავენ 24 – 72 საათის განმავლობაში.;
– კლასიკური სულგუნის შემთხვევაში მარილის მოყრა ხდება ყველის ზედაპირზე;
– მარილწყალი: ყველს ათავსებენ 14-22% კონცენტრაციის მარილწყალში 6 – 24 საათის განმავლობაში.
სულგუნის რეალიზაცია დასაშვებია დამარილების პროცესის დაწყებიდან 24 საათის შემდეგ.
სულგუნის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს ბიზნესოპერატორი.

<u>გამოშრობა</u>
დამარილების შემდეგ სულგუნი გამოსაშრობად რამდენიმე დღის ან რამდენიმე კვირის განმავლობაში შეიძლება შენახული იქნეს მშრალ ადგილას, რომელიც ნიავდება. დასაშვებია ხის თაროების გამოყენება. გამოშრობის შემდეგ, სულგუნი საბოლოო მომხმარებელს უნდა მიეწოდოს დასახელებით - „სულგუნი მშრალი“, „კლასიკური სულგუნი მშრალი”.

<u>შებოლვა</u>
დამარილების შემდეგ, ჭყინტი ან გამომშრალი სულგუნი შეიძლება შეიბოლოს შესაბოლ კამერაში, არაწიწვოვანი ხის, მაგალითად მსხლის, ვაშლის, თხმელის, წიფლის ან კომშის მერქნის, ან მათი ნახერხის გამოყენებით.
დასაშვებია ცივი და ცხელი შებოლვის მეთოდების გამოყენება.
– ცხელი შებოლვის მეთოდის გამოყენებისას პროცესი გრძელდება 1 – 12 საათს.
– ცივი შებოლვის მეთოდის გამოყენებისას პროცესი გრძელდება 72 საათიდან ერთ კვირამდე.
შებოლვის შემდეგ სულგუნი საბოლოო მომხმარებელს უნდა მიეწოდოს დასახელებით - „სულგუნი შებოლილი“.

<u>ინგრედიენტების დამატება</u>
სულგუნს გადახელვის დროს ან დამზადების პროცესის დასრულების შემდეგ, შესაძლოა დაემატოს სხვადასხვა ინგრედიენტი. ყველა ინგრედიენტი უნდა იყოს საქართველოში წარმოებული. დასაშვები ინგრედიენტებია:
- პიტნა, ტარხუნა, ქონდარი და/ან სხვა მწვანილ(ებ)ი, ან სანელებლები;
– აჯიკა;
– თაფლი;
– ღვინო და ჭაჭა;
– თხილი, კაკალი, ნუში.

IV. გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა:

დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა „სულგუნი“ იწარმოება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა „სულგუნის“ დასამზადებლად გამოყენებული რძის წარმოშობის ქვეყანა უნდა იყოს საქართველო.

V. მტკიცებულება, რომ პროდუქტი მომდინარეობს განსაზღვრული გეოგრაფიული არეალიდან (მიკვლევადობის სისტემა):

<u>ა. ბიზნესოპერატორების რეგისტრაცია</u>
თითოეული ბიზნესოპერატორი, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია სულგუნის წარმოების ერთ ან რამდენიმე ეტაპთან, შესაძლებელია გაერთიანდეს **სულგუნის დაცული**

გეოგრაფიული აღნიშვნის მწარმოებელთა ორგანიზაციაში. გეოგრაფიული აღნიშვნა - „სულგუნის“ მწარმოებელთა ორგანიზაციას აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლების მქონე რეგისტრირებული პირების სია, რომელშიც მოცემული უნდა იყოს ბიზნესოპერატორის რეკვიზიტები - დასახელება, მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ინფორმაცია. სია ექვემდებარება რეგულარულ განახლებას.

<u>ბ. მიკვლევადობის მოთხოვნები</u>

წველის, ყველის დამზადების, მომწიფების, დაჭრისა და შეფუთვის ყველა ეტაპი ხორციელდება დადგენილი ტერიტორიის ფარგლებში, კონტროლისა და მონიტორინგის პირობებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროდუქტის განსაკუთრებულობა/სპეციფიურობა.

პროდუქტის მიკვლევადობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას წველის, ყველის დამზადების, მომწიფების, დაჭრის, შეფუთვის და დისტრიბუციის ეტაპებზე.

მიკვლევადობის განხორციელებისათვის, ბიზნესოპერატორს, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სულგუნის წარმოების ნებისმიერ ეტაპთან (რძის მწარმოებელი, ყველის მწარმოებელი, დამჭრელი, შემფუთველი) ვალდებულია ჰქონდეს პროდუქტის, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ინგრედიენტის, შესაფუთი მასალის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებთან დაკავშირებული სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს რძისა და ყველის წარმოშობის, სპეციფიკაციების და წარმოების პირობების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და რომელსაც, მოთხოვნისთანავე, წარუდგენს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს.

მიკვლევადობის სისტემას კოორდინაციას უწევს სულგუნის დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ორგანიზაცია, რომლის მიერ განსაზღვრული ნიშანდება თან უნდა ახლდეს პროდუქტს.

VI. კავშირი პროდუქტის ხარისხს, რეპუტაციას ან სხვა მახასიათებლებს და გეოგრაფიულ წარმოშობას შორის:

<u>რეპუტაცია</u>

სულგუნის „დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის“ სტატუსით დაცვა ძირითადად ეფუძნება მისი, როგორც ქართული წარმოშობის პროდუქტის რეპუტაციას. ყველაზე ადრინდელი წერილობითი წყაროები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ყველი, რომელსაც სულგუნს ან სულდგუნს (აგრეთვე, სულუგუნს) უწოდებენ, საქართველოში, კერძოდ კი სამეგრელოსა და სვანეთში, იწარმოებოდა, არის სულხან-საბა ორბელიანის მიერ XVII საუკუნეში შედგენილი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და დავით ჩუბინიშვილის (XIX საუკუნე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ამ წყაროებში სულგუნი აღწერილია, როგორც წელვადი, გადაზელილი, ბრტყელი ყველი.

როლანდ თოფჩიშვილის სამეცნიერო ნაშრომში - „ქართველთა კვებითი კულტურის ისტორიიდან - „სულუგუნი“, [რ. თოფჩიშვილი; გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014] წარმოდგენილია სულგუნის წარმოშობის დოკუმენტური მტკიცებულებები. მასში მოცემულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

„სულუგუნი, მაღალი კვებითი ღირებულების გამო, 1880-იანი წლებიდან ფოთის ნავსადურიდან უცხოეთშიც გაჰქონდათ [გუგუშვილი ჰ. შინამრეწველობა საქართველოსა და ამერკავკასიაში 1901-1920 წლებში - ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1950. გვ.94.] მას, ეთნოგრაფიული მონაცემებით, დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში - სამეგრელოში, სვანეთში, იმერეთში, ლეჩხუმსა და რაჭაში ამზადებდნენ. სამეგრელოში სულუგუნს „სელეგინი“, „სელეგუნი“, „სიოგინი“ ერქვა, ხოლო ზემო იმერეთში, რაჭასა და ლეჩხუმში - „გვაჯილა“/„გვაჯილი“ [თოფურია ნ. „რძის დამუშავების ხალხური წესები სამეგრელოში (ყველი)]“. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბ., 1964, გვ. 46, 51; ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონა, I, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბ., 1974, გვ. 152]. გურიაში სულუგუნს „გადაზელილს“ უწოდებდნენ...“

„ხალხის გამოცდილებით, მეორედ მოხარშვა აუცილებელი იყო. თუ მეორედ არ მოიხარშებოდა, მაშინ სულუგუნს ერბო შერჩებოდა და მარილს ვერ მოიკიდებდა. ამოღების შემდეგ ლანგარზე - ჩურუხზე ზელავდნენ ხელით, ორივე ხელით გადაქნავდნენ“ [თოფურია ნ. რძის დამუშავების ხალხური წესები სამეგრელოში (ყველი). - ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბ., 1964, გვ. 49-50]. „როდესაც სულუგუნის დიდხანს შენახვა უნდოდათ, მაშინ მას ერთ მხარეზე ხვრეტდნენ და ბაწარზე ასხამდნენ ისე, რომ ერთმანეთს არ შეხებოდნენ. ასხმულ კვერეულებს გასაშრობად ცეცხლთან ახლოს ჭერზე ან მზეზე ჩამოკიდებდნენ. შებოლილი და გამხმარი სულუგუნი დიდხანს ინახებოდა“ [თოფურია ნ. რძის დამუშავების ხალხური წესები სამეგრელოში (ყველი). - ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბ., 1964, გვ. 50]...“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული კრებულის სტატიის მიხედვით, სულგუნი წარმოდგენილია სვანეთსა და სამეგრელოში ცნობილ სხვადასხვა რიტუალებში, რაც იმ ფაქტს ადასტურებს, რომ ამ სახეობის ყველი ტრადიციულია ამ რეგიონებისთვის, ვინაიდან, როგორც წესი, რიტუალებში მხოლოდ ტრადიციული ელემენტები გამოიყენება.

საბჭოთა პერიოდში, XX საუკუნის 80-იან წლებში სულგუნი სამრეწველო მასშტაბით იწარმოებოდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში და მისი, როგორც ქართული პროდუქტის, რეპუტაცია, ცნობილი იყო საბჭოთა ქვეყნებში.

<u>ადამიანური ფაქტორები</u>

სულგუნის წარმოების კულტურა დასავლეთ საქართველოდან - სამეგრელოდან და სვანეთიდან მოდის. ტრადიციული ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემოდა და საქართველოს სხვა რეგიონებშიც გავრცელდა.

„... კოლხეთის დაბლობში სინესტე არ იძლეოდა მეცხოველეობის პროდუქტების ხანგრძლივად შენახვის საშუალებას. მესაქონლეობის შეზღუდულ პირობებში კი მოსახლეობას გვიან შემოდგომიდან, ლაქტაციის შეწყვეტისა თუ შემცირების გამო, ადრე გაზაფხულამდე რძისა და რძის პროდუქტების დეფიციტიც ჰქონდა. ამ დეფიციტის შევსების წყარო კი იყო რძის პროდუქტების, ამ შემთხვევაში ყველის დამზადების ახალი ტექნოლოგიების ძებნა, რასაც ქართველმა მეურნემ ხანგრძლივი დაკვირვებისა და შემოქმედებითი ძიების პროცესში მიაგნო კიდევაც და შექმნა ყველის ისეთი ნაირსახეობა, როგორიცაა სულუგუნი...“ [როლანდ თოფჩიშვილი: ქართველთა კვებითი კულტურის ისტორიიდან: სულუგუნი; 2014; გვ. 19-20].

როგორც თბილისელი ეთნოგრაფი, ა. კალანტარი აღნიშნავს, სულგუნი გურიაში, აფხაზეთში, იმერეთში, ქობულეთში და სხვაგან მეგრულ მეჯოგე-მესაქონლეთა შეტანილი უნდა იყოს.

VII. შეფუთვისა და ნიშანდების წესები

<u>შეფუთვა</u>

ბაზარზე განთავსებული სულგუნი საბოლოო მომხმარებელს შეიძლება მიეწოდოს მთლიანი ან დაჭრილი სახით, შეფუთული ან შეფუთვის გარეშე. შეფუთვამ არ უნდა დააზიანოს ყველის ტექსტურა.

<u>ნიშანდება</u>

ბაზარზე განთავსებული დაცული გეოგრაფიული აღნიშვნით რეგისტრირებული თითოეული თავი სულგუნის ან სულგუნის ნაჭრის შესახებ ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამასთანავე,

- „სულგუნის“ ან „კლასიკური სულგუნის“ თითოეული თავის ან ნაჭრის დასახელების შემდეგ მითითებული უნდა იქნეს სიტყვები „დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა“ და აღნიშნული უნდა იქნეს დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო ხარისხის ნიშანი, რომლის გამოყენება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
- დამატებითი აღნიშვნები: „ჭყინტი“, „მშრალი“, „დაძველებული“ ან „შებოლილი“, წინ უნდა უსწრებდეს ან უშუალოდ მოსდევდეს დასახელებას „სულგუნი“
- სულგუნის დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული „სულგუნის“ და „კლასიკური სულგუნის“ ლოგო, როგორც ნაჩვენებია ქვემოთ, რომლის გამოყენება ნებაყოფლობითია.

სულგუნი

კლასიკური სულგუნი

VIII. კონტროლის ორგანოები

დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა „სულგუნის“ სპეციფიკაციებთან და მისი წარმოების მახასიათებლებთან შესაბამისობის კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული:

- თვითკონტროლით, რომელსაც ახორციელებს სულგუნის მწარმოებელი;
- შიდა კონტროლით, რომელსაც ახორციელებს სულგუნის დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის ორგანიზაცია, რომელიც ადგილზე ახორციელებს წარმოების პროცესის შესაბამისობის შეფასებას სპეციფიკაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, პროდუქტთან დაკავშირებით ახორციელებს სულგუნის ორგანოლეპტიკური თვისებების შესაბამისობის შეფასებას სპეციფიკაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, ასევე მიკვლევადობის ჩანაწერების, დოკუმენტაციისა და სხვა სათანადო ინფორმაციის შემოწმებას და დახმარებას უწევს ბიზნესოპერატორს სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.
- გარე კონტროლით ანუ სახელმწიფო კონტროლით, რომელსაც ახორციელებს კომპეტენტური ორგანო - სურსათის ეროვნული სააგენტო, მარშალ გელოვანის ქ. #6, 0159 თბილისი, საქართველო, ან მაკონტროლებელი ორგანო - იურიდიული პირი, რომელსაც, კომპეტენტური ორგანოს მიერ დელეგირებული აქვს სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანის შესრულება და რომელიც აკრედიტებულია საქართველოს ან ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოს მიერ.

დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა: „თუშური გუდა“ სპეციფიკაცია

I. ადგილწარმოშობის დასახელება

ქართული: **თუშური გუდა**
ინგლისური თარგმანი: **Tushetian Guda** ან **TUSHETIAN GUDA**
რუსული შრიფტით: Тушури Гуда ან ТУШУРИ ГУДА

II. პროდუქტის დახასიათება

თუშური გუდა ცხვრის, ძროხის ან ძროხისა და ცხვრის შერეული (50% - 50%, ±5%) ნედლი მოუხდელი რძისგან დამზადებული ყველია, რომელიც მწიფდება ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავისაგან დამზადებულ გუდაში (გაკრეჭილი ბეწვით შიგნითა მხრიდან).

შეიძლება დაემატოს თხის რძეც, რომლის რაოდენობა არ აღემატება რძის საერთო რაოდენობის 10 %-ს.

სპეციფიკური ორგანოლეპტიკური მახასიათებლები

<u>ფორმა</u>

ფორმა შეიძლება იყოს ცვალებადი და დამოკიდებულია მომწიფების პროცესის დროს გუდაში ყველის მდებარეობაზე. გუდის ბოლო ნაწილებში ყველს შეიძლება ნახევარსფეროს ფორმა ჰქონდეს (სურ. 1). გუდის შუა ნაწილში ყველს ცილინდრული ფორმა აქვს (სურ. 2). დასაშვებია მცირედ დეფორმირებული ცილინდრული ფორმებიც (სურ. 3). ვიზუალურად ყველის ზედაპირი არ არის გლუვი და უნდა ემჩნეოდეს გუდის კვალი. დასაშვებია 2 სმ-მდე სიღრმის ნაჭდევები. ყველი ქერქის გარეშეა. მისი მასა შეადგენს 5 - 10 კილოგრამს.

<u>ფერი</u>

1 2 3

ცხვრის თუშური გუდა გარედან თეთრი - მორუხო/მომწვანოა. შუაგული ინტენსიური ყვითელია. ყველის ორ ნაწილად(შუაზე) გაჭრისას, ყველის კიდეზე შეიძლება შესამჩნევი იყოს 2 სმ-მდე სისქის მოთეთრო რგოლი.

ძროხის თუშური გუდა გარედან ნაღების ფერია. შიგნიდან - ბაცი ყვითელი ფერის.

ცხვრისა და ძროხის რძის ნარევისგან დამზადებული თუშური გუდა გარედან ისეთივე ფერისაა, როგორიც ცხვრის თუშური გუდა, იმ განსხვავებით, რომ ფერი ნაკლებად ინტენსიურია. შიგნიდან - ოდნავ უფრო მუქი ყვითელია.

<u>ტექსტურა</u>

კონსისტენცია - ერთგვაროვანი, მკვრივი და მცირედ ელასტიკური. ყველი არ უნდა იყოს ფშვნადი ან რბილი. გაჭრილ ყველს შიგნიდან აქვს სხვადასხვა ფორმისა და ზომის ნასვრეტები. ნასვრეტის დიამეტრის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 10 მილიმეტრს. სიგრძეზე გაჭრის დროს შესაძლებელია ყველის თვალი იცრემლებოდეს და მოწვეთავდეს ცხიმის მოყვითალო ნაღვენთები.

<u>სუნი</u>

ცხვრის თუშურ გუდას აქვს ცხვრის რძის არომატი და მადისაღმძვრელი პიკანტური სურნელი.

ძროხის თუშურ გუდას აქვს ძროხის რძის არომატი და მადისაღმძვრელი პიკანტური სურნელი.

ცხვრისა და ძროხის რძის ნარევისგან დამზადებულ თუშურ გუდას აქვს ცხვრისა და ძროხის რძის არომატების შეზავებული, მადისაღმძვრელი პიკანტური სურნელი.

იხ. 14 გვ.

თუშურ გუდას არ უნდა ჰქონდეს უცხო, არადამახასიათებელი ან უსიამოვნო სუნი.

<u>გემო</u>
მარილიანი, პიკანტური და მადისაღმძვრელი. არ უნდა ჰქონდეს მწარე, მძაღე გემო.

<u>ქიმიური მახასიათებლები</u>
ცხიმშემცველობა, მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 45%-ს.
მარილის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 8%-ს.
გარდამავალი პერიოდის - წინამდებარე სპეციფიკაციის რეგისტრაციიდან სამი წლის განმავლობაში, დასაშვებია მარილის უფრო მაღალი შემცველობაც.

III. პროდუქტის მიღების მეთოდის და, საჭიროების შემთხვევაში, აუთენტური და უცვლელი ადგილობრივი მეთოდების აღწერა

რძის წარმოება
<u>მთაბარობა და კვება ზაფხულის საძოვრებზე</u>
თუშური გუდის დამზადებისთვის გამოყენებული რძე მიიღება იმ ცხოველებისგან, რომლებიც იკვებებიან თუშური გუდის რძის წველის ზონაში არსებულ საძოვრებზე, გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის თვეებში. როგორც კი ამინდი საშუალებას იძლევა, მაგრამ არა უგვიანეს ივნისისა, მწყემსებს ფარა და ნახირი გამოსაკვებად თუშეთის ნოყიერ მთიან საძოვრებზე გადაჰყავთ, ხოლო სექტემბერში ან ოქტომბერში, აცივებამდე, უკან აბრუნებენ. ამ პრაქტიკას მთაბარობას უწოდებენ.

<u>კვება</u>
ძოვების სეზონზე, რძის წველის ზონაში, ცხოველები იკვებებიან მხოლოდ საძოვრის ბალახით. პერიოდულად დასაშვებია მარილის მიცემა.
ბარად ყოფნის პერიოდში, იმ შემთხვევაში, თუ ზამთარი ძალიან მკაცრია, დასაშვებია თივის, დაროშილი (დაღერღილი) ქერისა და სიმინდის ნარევის მიწოდება.

<u>რძის მახასიათებლები</u>
ცხვრის რძე, რომელიც თუშური გუდის დასამზადებლად გამოიყენება, მხოლოდ თუშური ჯიშის ცხვრისგან მიიღება. ცხვრის თუშური გუდა მზადდება ახლად მოწველილი, მოუხდელი ნედლი რძისაგან.
ძროხის რძე, რომელიც თუშური გუდის დასამზადებლად გამოიყენება, ქართული მთის ძროხისაგან მიიღება. ძროხის თუშური გუდა მზადდება ახლად მოწველილი დილის რძისა და წინა საღამოს მოწველილი მოუხდელი ნედლი რძის ნარევისაგან.
შერეული თუშური გუდის დამზადებისთვის გამოიყენება ახლად მოწველილი ცხვრისა და ძროხის რძის ნარევი. დასაშვებია წინა საღამოს მოწველილი ძროხის რძის შერევაც.
თხის რძის დამატების შემთხვევაში, თხის რძე მხოლოდ ადგილობრივი თხისაგან უნდა იქნეს მიღებული; დასაშვებია მხოლოდ ახლად მოწველილი მოუხდელი ნედლი რძის დამატება.

<u>გუდის დამზადება ტყავისგან</u>
გუდა მზადდება ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავისგან. საქართველოში, გუდის დასამზადებლად, ცხოველს ატყავებენ მთლიანად, უკნიდან წინა მიმართულებით, მუცელზე სიგრძივად გაჭრის გარეშე („ოთხში ამოღება“ - საქონლის გატყავება ტყავის გაუჭრელად).
ტყავს აშრობენ ჩრდილში, ჯოხებზე გადაჭიმვით 2 - 4 კვირის განმავლობაში. შემდეგ ტყავს ჩაალბობენ წყალში ან შრატში ორი დღის განმავლობაში, შემდეგ გაკრეჭენ ისე, რომ ბეწვი ტყავზე 1 - 2 სმ სიმაღლის დარჩეს. ყველის ჩაწყობამდე, ტყავს ორ-სამჯერ გარეცხავენ წყლით და გადმოაბრუნებენ ისე, რომ ბეწვიანი პირი შიგნით მოექცეს.

ყველის წარმოება
<u>გაფილტვრა</u>
ახლად მოწველილი მოუხდელი რძე იფილტრება რამდენიმე (არანაკლებ ხუთი) ფენა დოლბანდისა და ბალახოვანი მცენარეების - ჭინჭრის (Urtica), ჭინჭრისდედის (Lamium), და/ან ვაციწვერას (Stipa) და თუშეთის ფლორის სხვა ბუსუსიანი მცენარეულის კომბინაციით დამზადებული ფილტრით.

<u>დელამოს მიღება</u>
გაფილტვრის შემდეგ რძე ისხმება ხის (მუხა, ვერხვი) ან უჟანგავი ფოლადის ჭურჭელში. რძეს შეურევენ ხბოს ან ბატკნის მაჭიკით წინასწარ დამზადებულ კვეთს, ამოურევენ სხვადასხვა ფორმის დაბოლოების მქონე ვერხვის ან არყის ხის ჯოხით. შემდეგ რძეს ტოვებენ ფერმენტაციისათვის 35 - 37^{0} ტემპერატურაზე. საჭირო ტემპერატურის მისაღებად დასაშვებია ცხვრის რძეში ანადუღარი თბილი წყლის დამატება. ძროხის ყველის შემთხვევაში დასაშვებია გაცხელებული რძის დამატებაც.

<u>დელამოს დაჭრა</u>
როდესაც დელამო გამყარდება, ის მზად არის ამოსარევად და დასაჭრელად. მარცვლების ფორმირება ხდება ხის ჯოხით ამორევით ისე, როგორც აღწერილი იყო ზევით, დელამოს მიღებისას. ამორევას წყვეტენ მაშინ, როდესაც მარცვლების ზომა ბარდის მარცვლის ზომაზე მეტი და თხილის ნაყოფის ზომაზე ნაკლები გახდება. შემდეგ მათ ტოვებენ 5 – 10 წუთის განმავლობაში, სანამ შრატს მოაცილებენ.

<u>შრატისგან დაწურვა და ყველის ფორმირება</u>
მასას ჭრიან ხის დანით. შრატის მოცილება და ყველის მასის მოწურვა ხდება ხელით, დოლბანდის პარკებში. ამ ეტაპზე შესაძლებელია მასის მორევა / ხელით მოზელვა, რათა მარცვლები თანაბრად განაწილდეს. დოლბანდში გახვეულ ყველს დებენ ხის მაგიდაზე, ხელით პრესავენ და წრიულად ატრიალებენ შრატის გამოსაწურად.
როდესაც თუშური გუდა ძროხის რძისგან მზადდება, დაწურვის შემდეგ, გუდაში ჩადებამდე, ყველი ფორმირებისათვის იდება ხის ჭურჭელში (დერგში) და ყოვნდება არაუმეტეს 24 საათის განმავლობაში. როდესაც ყველი შერეული რძისგან მზადდება, დასაშვებია ხის ჭურჭლის (დერგის) გამოყენება, თუ ყველის ტექსტურა ამას მოითხოვს.

<u>დამარილება</u>
სანამ ყველს გუდაში ჩადებენ, გუდას ძირზე აყრიან მარილს თხელ ფენად, შემდეგ ყველის თავებს რიგრიგობით დებენ გუდაში და თითოეულ თავს აყრიან მარილს. მარილის გარდა, სხვა ინგრედიენტების გამოყენება არ არის დაშვებული.

<u>მოსვენების ფაზა</u>
შემდეგ გუდას ათავსებენ თბილ გარემოში 1 – 3 დღის განმავლობაში. თბილი გარემოს შენარჩუნებისათვის, გუდას შეიძლება გარედან გადაეფაროს. მოსვენების ფაზის განმავლობაში გუდას რეგულარულად აბრუნებენ.
<u>მომწიფება</u>
მშრალ, გრილ ადგილას გუდაში მომწიფების პერიოდი გრძელდება არანაკლებ 60 დღის განმავლობაში. ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს +22°C-ს. წინამდებარე სპეციფიკაციის რეგისტრაციიდან 24 თვის განმავლობაში, ტემპერატურა შესაძლოა აღემატებოდეს დაშვებულ ზღვარს. მომწიფების ფაზის განმავლობაში გუდას რეგულარულად აბრუნებენ 90°-ით, ყველის ასაკის შესაბამისად.
<u>ტრანსპორტირება</u>
ბარში ტრანსპორტირებამდე, გუდაში დაგროვილ შრატს გადაღვრიან. ბარში ჩამოტანის შემდეგ, შენახვამდე, გუდებს მარილწყლით ისევ გადაავსებენ ყველის მომწიფების დასრულებისთვის. მარილწყლის მოსამზადებლად კვერცხს ან კარტოფილს დებენ წყალში და უმატებენ მარილს, სანამ კვერცხი ან კარტოფილი ტივტივს არ დაიწყებს.

IV. გეოგრაფიული არეალის განსაზღვრა
<u>წარმოების არეალის საზღვრები</u>

რძის წველისა და ყველის წარმოების არეალის რუკა

ა. <u>რძის წველის ზონა</u>
რძის წველა, ყველის დამზადება და მომწიფების დაწყება ხდება თუშური გუდის წარმოების გეოგრაფიულ არეალში, რომელიც ემთხვევა თუშეთის ისტორიულ რეგიონს. თუშეთის საზღვრები გადის: ჩრდილოეთით - ჩეჩნეთის (რუსეთის ფედერაცია) საზღვარზე, აღმოსავლეთით - დაღესტნის (რუსეთის ფედერაცია), ხოლო დასავლეთით - კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გასწვრივ თუშეთის ეროვნული პარკის, სახელმწიფო ნაკრძალისა და თუშეთის დაცული ტერიტორიებით დადგენილ საზღვრებში. სამხრეთი საზღვარი ემთხვევა თუშეთის ეროვნული პარკის საზღვრებს.
ბ. <u>ბარი</u>
თუშური გუდის შემდგომი მომწიფების დასრულებისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, დაჭრისა და დაფასოებისთვის, არეალი შემდეგ სოფლებსაც მოიცავს: ფშაველი, ზემო ალვანი, ქვემო ალვანი და ლალისყური.
მთელი ტერიტორია ეკუთვნის კახეთის რეგიონს.

V. მტკიცებულება, რომ პროდუქტი მომდინარეობს განსაზღვრული გეოგრაფიული არეალიდან (მიკვლევადობის სისტემა)

<u>ა. ბიზნესოპერატორის რეგისტრაცია</u>
თითოეული ბიზნესოპერატორი, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია თუშური გუდის წარმოების ერთ ან რამდენიმე ეტაპთან, შესაძლებელია გაერთიანდეს **დაცული ადგილწარმოშობის დასახელება - თუშური გუდის ორგანიზაციაში** (ასოციაცია, კონსორციუმი, ჯგუფი, მეწარმეთა გაერთიანება და სხვ.). დაცული ადგილწარმოშობის დასახელების - „თუშური გუდა“, ორგანიზაციას აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცული ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე რეგისტრირებული პირების სია, რომელშიც მოცემული უნდა იქნეს ბიზნესოპერატორის რეკვიზიტები - დასახელება, მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ინფორმაცია. სია ექვემდებარება რეგულარულ განახლებას.

<u>ბ. მიკვლევადობის მოთხოვნები</u>
წველის, ყველის დამზადების, მომწიფების, დაჭრისა და შეფუთვის ყველა ეტაპი ხორციელდება დადგენილი ტერიტორიის ფარგლებში, კონტროლისა და მონიტორინგის პირობებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროდუქტის განსაკუთრებულობა / სპეციფიურობა.

პროდუქტის მიკვლევადობა უზრუნველყოფილი უნდა იქნას წველის, ყველის დამზადების, მომწიფების, დაჭრის, შეფუთვის და დისტრიბუციის ეტაპებზე.

მიკვლევადობის განხორციელებისათვის, ბიზნესოპერატორს, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია თუშური გუდის წარმოების ნებისმიერ ეტაპთან (რძის მწარმოებელი, ყველის მწარმოებელი, დამჭრელი, შემფუთველი) ვალდებულია ჰქონდეს პროდუქტის, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ინგრედიენტის, შესაფუთი მასალის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებთან დაკავშირებული სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს რძისა და ყველის წარმოშობის, სპეციფიკაციების და წარმოების პირობების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და რომელსაც, მოთხოვნისთანავე, წარუდგენს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს. ეს ჩანაწერები უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:
– მეწველი ცხვრის, მეწველი თხისა და მეწველი ძროხის რაოდენობა წველის პერიოდის დასაწყისში და ნებისმიერი ცვლილება (მატება ან შემცირება) სეზონის განმავლობაში;

– ყოველდღიურად გამოყენებული რძის მიახლოებითი რაოდენობა;
– ყოველდღიურად დამზადებული ყველის რაოდენობა;
– ყოველდღიურად გამოყენებული გუდების რაოდენობა;
– თითოეული ტრანსპორტირების დროს გადატანილი გუდების რაოდენობა;
– ბაზარზე განთავსებული ყველის რაოდენობა.

მიკვლევადობის სისტემას კოორდინაციას უწევს თუშური გუდის დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ორგანიზაცია, რომლის მიერ განსაზღვრული ნიშანდება თან უნდა ახლდეს პროდუქტს.

VI. კავშირი პროდუქტის ხარისხს ან მახასიათებლებსა და გეოგრაფიულ გარემოს შორის

<u>ბუნებრივი გარემო</u>

კლიმატი არის კონტინენტური, 5-6 თვის მანძილზე თოვლის საფარით და ზომიერად მზიანი ზაფხულით.

1. ნოტიო კლიმატი ცივი ზამთრითა და მოკლე ზაფხულით (1,600 – 2,000 მ ზღვის დონიდან);
2. გარდამავალი მთის კლიმატი ცივი ზამთრით და მოკლე ზაფხულით (2,000 – 2,400 მ ზღვის დონიდან);
3. ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალმთის ზომიერად ნოტიო კლიმატი (2,400 – 3,400 მ ზღვის დონიდან);
4. მაღალმთის ნოტიო კლიმატი, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით, სადაც წლის ყველა თვის საშუალო ტემპერატურა 0^0C- ზე დაბალია (ზღვის დონიდან 3,400 მ - ზე ზევით).

თუშური გუდის ყველი მზადდება სუბალპურ (Festuca ovina, Poa alpina, Zerna variegate, Dactylis glomerata, Lotus) და ალპურ (Festuca ovina, Poa alpina, Carex tristis and Campanula tridentata) საძოვრებზე, მაისი-აგვისტოს თვეებში. ტრადიციულად ზღვის დონიდან 1,600 – 1,900 მეტრზე მდებარე სავარგულები გამოიყენებოდა სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობისათვის, მაშინ როდესაც ცხვარი იმყოფებოდა საძოვრებზე ზღვის დონიდან 2,000 – 3,400 მეტრზე ზღვის დონიდან.

<u>ადამიანური გარემო და ფაქტორები</u>

იმისათვის, რომ ხანგრძლივი ზამთრის პერიოდში საკვები ჰქონოდათ, თუშმა მეცხვარეებმა შეიმუშავეს ყველის გუდაში შენახვის ტრადიციული მეთოდი. საუკუნეების მანძილზე მეცხვარეებმა პროცესი დახვეწეს და ცოდნა თაობიდან თაობას გადასცეს.

მომწიფების მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება გუდა და მაჭიკი, ყველში, გარდაქმნის სხვა პროცესებთან ერთად, იწვევს ცხიმების ლიპოლიზის პროცესს, რაც ყველს ანიჭებს თავისებურ გემოსა და არომატს.

ეს ცოდნა ასევე გავლენას ახდენს თუშური ცხვრის მახასიათებლებზე, რომელიც ადაპტირებულია თუშეთის მთების პირობებთან და რძესთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან.

<u>ცხვრის ჯიში</u>

თუშეთში გავრცელებული ცხვრის ჯიში:
ზოგადი სახელწოდება - **ცხვარი**
ლათინური სახელწოდება - **Ovis Aries**
ჯიში - **თუშური ცხვარი**

თუშური ცხვარი საუკუნეების მანძილზე გამოჰყავდათ. დღეს არსებული სახით თუშური ცხვარი ჩამოყალიბდა XIII-XIV საუკუნეებში. პროდუქტიული მიმართულება სახორცე-სამატყლო-სარძევეა. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, ხასიათდება მაგარი კონსტიტუციით, ადვილად იტანს მთაბარობას, ექსტრემალურ პირობებში დიდ (500 კმ-მდე) მანძილზე გადარეკვას.

თუშური ჯიშის ცხვრის რძე გამოირჩევა ცხიმის მაღალი შემცველობით, რაც აისახება ყველის ცხიმიანობაში.

<u>ბუნებრივი ფაქტორები</u>

საძოვრების მცენარეული საფარი, რომლითაც იკვებება ცხოველი, რომლის რძე გამოიყენება თუშური გუდის დამზადებისთვის, გავლენას ახდენს რძის საგემოვნო თვისებებზე.

შედარებით გრილი ზაფხული ყველის ოპტიმალურ პირობებში დამწიფების საშუალებას იძლევა.

<u>რეპუტაცია</u>

თუშურ გუდას საუკუნეების განმავლობაში მოიხმარდნენ საქართველოში და საზღვარგარეთ. დღესდღეობით, თუშური გუდა კომერციული პროდუქტია და მას კარგად იცნობს საქართველოს და ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მომხმარებელი. ყველის დამზადების პროცესი კარგად არის ცნობილი და ის აღწერილია სხვადასხვა პუბლიკაციაში, წარმოდგენილია სხვადასხვა ფილმში:

- 1922-1923 "თბილისის უნივერსიტეტის მოამბე" - პეტრე მელიქიშვილი. გვ. 135, თავი - „ქართული ყველის სახეობები", სადაც აღწერილია თუშური გუდის წარმოების პროცესი.
- პუბლიკაცია „თუშეთი", 1993. პუბლიკაცია ეფუძნება ქართველი ეთნოგრაფის გიორგი ბოჭორიძის (1884-1939) კვლევებს. თუშური გუდის ყველის წარმოების პროცესის აღწერის გარდა, მოიცავს თუშური სამოსახლოსა და, ასევე, გამოყენებული ინვენტარის აღწერასაც (ჩანახატები ეკუთვნის გიორგი ბოჭორიძეს).
- სოსო ჩხაიძის ფილმი „თუში მეცხვარე", რომელიც 1976 წელს არის გადაღებული, დეტალურად აღწერს ცხვრის გადარეკვის პროცესს და თუში მეცხვარეების ცხოვრებას;
- 1980 წელს გადაღებული ლევან თუთბერიძის დოკუმენტური ფილმი „თუშური ყველი".

VII. შეფუთვისა და ნიშანდების წესები

თუშური გუდა მომხმარებელს შეიძლება მიეწოდოს მთლიანი ან დაჭრილი სახით, შეფუთული ან შეფუთვის გარეშე.

ბაზარზე განთავსებული დაცული ადგილწარმოშობის დასახელებით - „თუშური გუდა", რეგისტრირებული თითოეული თავი თუშური გუდის ან ყველის ნაჭრის შესახებ ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ" მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამასთანავე,

- თითოეული თავი თუშური გუდას ან ყველის ნაჭრის დასახელების - „თუშური გუდის" მხედველობის არეში მითითებული უნდა იქნას სიტყვები - „დაცული ადგილწარმოშობის დასახელება" და სახელმწიფო ხარისხის ნიშანი, რომლის გამოყენება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
- დაცული ადგილწარმოშობის დასახელების - „თუშური გუდა" მწარმოებელთა ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სხვადასხვა ტიპის - ცხვრის რძის, ძროხის რძის და შერეული რძისაგან დამზადებული თუშური გუდისათვის შემუშვებული ლოგო (ნახ.1)

ცხვრის შერეული ძროხის

ნახ.1. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების - „თუშური გუდა", ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სხვადასხვა ტიპის - ცხვრის რძის, ძროხის რძის და შერეული რძისაგან დამზადებული თუშური გუდისათვის შემუშვებული ლოგო

VIII. კონტროლის ორგანოები

დაცული ადგილწარმოშობის დასახელება - „თუშური გუდის" სპეციფიკაციებთან და მისი წარმოების მახასიათებლებთან შესაბამისობის კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონით განსაზღვრული:

– თვითკონტროლით, რომელსაც ახორციელებს დაცული ადგილწარმოშობის დასახელება „თუშური გუდის" მწარმოებელი;
– შიდა კონტროლით, რომელსაც ახორციელებს დაცული ადგილწარმოშობის დასახელება თუშური გუდის ორგანიზაცია, რომელიც ადგილზე ახორციელებს წარმოების პროცესის შესაბამისობის შეფასებას სპეციფიკაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, პროდუქტთან მიმართებაში ახორციელებს თუშური გუდის ორგანოლეპტიკური თვისებების შესაბამისობის შეფასებას სპეციფიკაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, თუშური გუდის ნაჭრებად დაჭრისა და შეფუთვის კონტროლს, ასევე მიკვლევადობის ჩანაწერების, დოკუმენტაციისა და სხვა სათანადო ინფორმაციის შემოწმებას და დახმარებას უწევს ბიზნესოპერატორს სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.
– გარე კონტროლით ანუ სახელმწიფო კონტროლით, რომელსაც ახორციელებს კომპეტენტური ორგანო - სურსათის ეროვნული სააგენტო, მარშალ გელოვანის ქ. #6, თბილისი 0159, საქართველო, ან მაკონტროლებელი ორგანო - იურიდიული პირი, რომელსაც, კომპეტენტური ორგანოს მიერ დელეგირებული აქვს სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანის შესრულება და რომელიც აკრედიტებულია საქართველოს ან ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოს მიერ.

საქართველოში მწეველთა პროცენტული რაოდენობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიში

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი, რიგით მე-7 ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც გლობალურად თამბაქოს ეპიდემიასთან ბრძოლაში მიღწეულ შედეგებს აჯამებს. ბოლო ასეთი ნაშრომი გაეროს ჯანდაცვის უწყებამ 2017 წელს გამოაქვეყნა.

ახალი ანგარიში მოწმობს, რომ მსოფლიოს მასშტაბით თამბაქოს მოწევასთან ბრძოლა მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს. პროგრესი აშკარაა, მაგრამ პრობლემის დასაძლევად, გაცილებით მეტი მცდელობაა საჭირო.

დღეს 5 მილიარდი ადამიანი, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 65% უკვე ისეთ ქვეყნებში ცხოვრობს, სადაც თამბაქოს მოწევაზე ერთი, ან რამდენიმე რეგულაცია მოქმედებს, ყუთებზე გაკეთებული გაფრთხილებით დაწყებული, მოწევის შეზღუდვებით დასრულებული. 10 წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით, ეს ოთხჯერ მეტია. ანუ, მაშინ რეგულაციები მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტს ეხებოდა. თუმცა, ანგარიში ასევე აჩვენებს, რომ ბევრ ქვეყანაში რეგულაციები ან არასაკმარისია, ან არაადეკვატური, ან ბოლომდე არ მოქმედებს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 2007 წელს მოუწოდა მსოფლიოს მთავრობებს მაქსიმალურად შეეზღუდათ თამბაქოს მოხმარება, რაც საბოლოო ჯამში, ადამიანთა სიცოცხლეს გადაარჩენს, მათი ცხოვრების ხარისხს გააუმჯობესებს და სახელმწიფოს ჯანდაცვის ხარჯებს შეუმცირებს. ამისთვის გაეროს ჯანდაცვის უწყებამ რეკომენდაციების სახით, 7 სახის ეფექტური სტრატეგია შეიმუშავა და გამოსცა:

თამბაქოს მოხმარების მონიტორინგის და პრევენციის პოლიტიკა;
მოსახლეობის დაცვა თამბაქოს კვამლისგან;
ხალხის დახმარება მოწევისისთვის თავის დანებებაში;
მოსახლეობის გაფრთხილება თამბაქოს მოწევის საფრთხეებზე;
შეზღუდვების დაწესება თამბაქოს რეკლამირებაზე და სპონსორობაზე;
თამბაქოს პროდუქციაზე გადასახადების გაზრდა.

დადებით შედეგებს შორის სახელდება ის ფაქტი, რომ მწეველთა რაოდენობამ პროცენტულად მთელი მსოფლიოს მასშტაბით იკლო. მაგრამ, მოსახლეობის ზრდასთან ერთად, მათი საერთო რაოდენობა მაინც შემაშფოთებელია. დედამიწაზე დღეს დაახლოებით 1.1 მილიარდი თამბაქოს მწეველია აქედან 80% ცხოვრობს დაბალი, ან საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში.

2017 წლის ანგარიშიდან დღემდე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების დანერგვა დამატებით 36-მა ქვეყანამ დაიწყო. 14 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ყუთებზე გამაფრთხილებელი ფოტოები და ტექსტი გამოჩნდა. მთელ რიგ ქვეყნებში, თამბაქოს პროდუქციაზე გადასახადები 8-დან 14 პროცენტამდე გაიზარდა.

ცუდია ის, რომ შვიდივე რეკომენდაცია სრულად 36-დან მხოლოდ 23 ქვეყანაში დაინერგა. დღეს მსოფლიოს 116 სახელმწიფოში ხერხდება მოწევაზე თავის დანებების ნაწილობრივი, ან სრული დაფინანსებით ხელშეწყობა. დამატებით 32 ქვეყანაში ხდება დამხმარე სერვისების შეთავაზება, თუმცა, არა მათი დაფინანსება.

საყურადღებოა, რომ ანგარიშში საქართველო სამჯერაა დასახელებული ყველაზე წარმატებულ ქვეყნებს შორის, რომელთაც 2018 წელს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების დანერგვაში, „უმაღლესი დონის მიღწევები" აქვთ (Countries with the highest level of achievement). კონკრეტულად, მითითებულია 3 მიმართულება: თამბაქოს მოხმარების მონიტორინგი; მედიაში წარმოებული მოწევის საწინააღმდეგო კამპანიები და შეფუთვაზე დართული გაფრთხილებები.

საქართველო სახელდება იმ 11 ქვეყანას შორის, სადაც 2018 წელს მოწევის აკრძალვა მოხდა ყველგან, სადაც რეკომენდებული იყო, გარდა ერთი ადგილისა. საქართველოს, კვიპროსის და უნგრეთის შემთხვევაში, ეს ერთი ადგილი იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტი. საქართველო ასევე არის იმ 9 სახელმწიფოს ჩამონათვალში, რომელთაც მხოლოდ ერთი საფეხური აცილებს თამბაქოს პროდუქციის რეკლამების სრულ აკრძალვას.

საქართველომ 2018 წლის ბოლომდე ვერ შეძლო რეგულაციების დაწესება, რათა თამბაქოს პროდუქტების შეფუთვა იყოს ბრენდის დასახელების გარეშე. ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველომ, ბურკინა-ფასომ, ისრაელმა, რუმინეთმა და სლოვაკეთმა კანონი მართალია მიიღეს, მაგრამ რეგულაციების არარსებობის პირობებში, მათი დანერგვა ვერ მოხერხდა. სიგარეტის ლობისტებმა ამ კანონის შემოღება საქართველოში 2021 წლის დეკემბრამდე „წარმატებით" გადაავადეს. და რაც ყველაზე საგანგაშოა: საქართველო იმ ქვეყნების სიაშია, სადაც მწეველთა პროცენტული რაოდენობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. ქვეყანაში მოსახლეობის დაახლოებით 33% ეწევა, კაცებში — 57% და 13-15 წლის მოზარდებში — 12.6%. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველოში თამბაქოს მოწევას უკავშირდება წელიწადში 11 400 ადამიანის სიკვდილი.

უძველესი ნამოსახლარი სვანეთში

სვანეთში, სოფელ ბოგრეშში ძველი წელთაღრიცხვის VIII-VI საუკუნეებით დათარიღებული ნამოსახლარი აღმოაჩინეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის, კათედრის პროფესორ ზვიად კვიციანის განცხადებით, სოფელ ბოგრეშში იმ კონკრეტულ ტერიტორიაზე, სადაც გათხრები ჯერ კიდევ 1979 წელს დაიწყო, ბოლო დღეების განმავლობაში აღმოჩენილია ძველი წელთაღრიცხვით დათარიღებული ნამოსახლარი. მათ შორის იატაკი, ასევე ორნამენტებიანი კერამიკა, რომლითაც ნამოსახლარისთარიღი დგინდება.

**„ძეგლი მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტის, იფარის თემის სოფელ ბოგრეშში. 1979 წელს მესტია-უშგულის გზის გაფართოების დროს აღმოჩენილ იქნა თიხის ჭურჭელი და ამ თიხის ჭურჭელში არსებული ბრინჯაოს ხანის არტეფაქტები, სამაჯურები, მძივები, სატევრები, შუბის პირი და რამდენიმე ნივთი. 1979 წლიდან ეს ადგილი მიიჩნეოდა, როგორც ბოგრეშის სამაროვანი, მაგრამ 2012 წელს, როდესაც ჩავატარეთ გათხრები, აღმოჩნდა, რომ სამაროვანი არის გვიანი შუა საუკუნეების ზედა ფენა და ქვემოთ სავარაუდოდ, იყო ნამოსახლარი, თუმცა ზუსტი პასუხი ამაზე არ გვქონდა, სანამ არ გაითხრებოდა აღნიშნული ფართობი. წლევანდელმა გათხრებმა აჩვენა, რომ ეს არის ნამოსახლარი და არა სამაროვანი, ძველი წელთაღრიცხვის მერვე-მეექვსე საუკუნეებისაა, შემორჩენილია იატაკი, ორნამენტირებული კერამიკა, შემორჩენილია ამ შენობის სახურავიც, ძელები ხანძრისგან განადგურებულია. ბოგრეშის ამ ნამოსახლარის სახით მესტიის მუნიციპალიტეტს შეემატა კიდევ ერთი წინარე ანტიკური ხანის გორა ნამოსახლარი, ორი ასეთი გორა ნამოსახლარი არის აღმოჩენილი ხაიშის ცენტრში. 15 ივლისიდან დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები, მაგრამ ინტენსიური კვლევები პირველი აგვისტოდან დაიწყო. ახლა ვცდილობთ მასშტაბებისა და ნაგებობის ხასიათი დავიჭიროთ, მაგრამ ძალიან რთული სამუშაოა – ნამოსახლარი ორმეტრნახევრის სიღრმეშია და ამხელა მიწის საფარის გადაყრა ძალიან რთული და შრომატევადია“, – აცხადებს ზვიად კვიციანი.

ბუნებრივი ფოიერვერკები ცაზე

პერსეიდების მეტეორები 11-12 აგვისტოს ცას გაანათებენ. მეტეორების წვიმას, რომლებიც დედამიწის ატმოსფეროში დიდი სისწრაფით შემოდიან და იწვებიან, წელს ერთი კვირით ადრე ელოდებიან. ნასას ინფორმაციით, პერსეიდების მეტეორები წელს საათში 100 ერთეულს მიაღწევს და მათი ჭარბი რაოდენობის გამო შემჩნევა 13-14 აგვისტოსაც იქნება შესაძლებელი.

პერსეიდების წვიმის დანახვა ყველაზე უკეთ უკუნ სიბნელეშია შესაძლებელი. იმისთვის, რომ მოვლენა კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდეს ასტრონომები ფართო, პანორამული ხედის მქონე სივრცეზე, უკეთეს შემთხვევაში მთაში ასვლას უწევენ რეკომენდაციას. აღსანიშნავია, რომ მეტეორებს ბინოკლით ან ტელესკოპით ვერ დააკვირდებით, რადგან ისინი დედამიწის ატმოსფეროში დიდი სისწრაფით შემოდიან და მომენტალურად იწვებიან. პერსევსის კომეტათა ერთობლიობიდან მეტეორთა ნაკადი, ყოველწლიურად აგვისტოში ჩნდება. კომეტების სარტყელი მზის გარშემო ყოველ 133 წელში ერთხელ ბრუნავს. მეტეორების წვიმა წარმოიქმნება დედამიწისა და კომეტა სვიფტ-ტატლის ორბიტის კვეთის დროს. მიკროსკოპიული ნაწილაკები იწვიან ატმოსფეროში და ცაზე წარმოქმნიან ვარსკვლავთა წვიმას. იწყება დიდი ინტენსივობით და დროთა განმავლობაში იკლებს. ნაკადი აქტივობას აგვისტოს შუა რიცხვებში ავლენს. 1 საათში დედამიწის ატმოსფეროში 50-დან 100-მდე მეტეორი იწვის.

კლივლენდი მხოლოდ განახლებად ენერგიას გამოიყენებს

2018 წელს აშშ-ის ქალაქ კლივლენდში მიიღეს კლიმატის ცვლილების შეჩერების ამბიციური გეგმა. 2050 წელს, ელექტროენერგიის მოხმარების თვალსაზრისით, ქალაქი სრულად განახლებად ენერგიას გამოიყენებს. კლივლენდი შტატებში, ამჟამად, ჰაერის დაბინძურებით მე-9 ადგილს იკავებს. კლივლენდის მერის ფრანკ ჯეკსონის ინიციატივას, რომ 2050 წლისთვის მხოლოდ „სუფთა ენერგია“ გამოიყენონ, სხვა ქალაქების 200-მა მერმა მხარი აუბა.

კლივლენდში აქტიურად მიმდინარეობს ქარისა და მზის ენერგიის მომპოვებელი სისტემების მონტაჟი. ამ დროისთვის ელექტროენერგიის მოხმარების 10 პროცენტს „მწვანე ენერგიის“ მეშვეობით მოიპოვებენ. ქალაქის მერის განცხადებით, ამბიციური გეგმის შესრულება კლივლენდის ფონდი დაეხმარება, რომელიც პროგრამას 50 000 დოლარით დააფინანსებს, ხოლო ის ოჯახები, რომლებიც დაბალი შემოსავლების გამო მზის პანელების მონტაჟს ვერ შეძლებენ, პროგრამის ფარგლებში უფასოდ მიიღებენ სისტემას.

პრეზიდენტყოფილის აღიარება

ატამბაევის თქმით, მის მომხრეებს იარაღი არ ჰქონიათ და სროლის დროს ცდილობდა, რომ ტყვია ადამიანებს არ მოხვედროდა.

ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტის განცხადებით, მზად არის იმოქმედოს სპეცდანიშნულების რაზმის „ალფას“ ექვსი მებრძოლის გასათავისუფლებლად, რომელიც მისმა მომხრეებმა დააკავეს და ამჟამად მის სახლში დაცვის ქვეშ იმყოფებიან.

ალმაზბეკ ატამბაევის თქმით, მისი მხარდამჭერები ბიშკეკში, პარლამენტის შენობასთან მიტინგს ჩაატარებენ. ბოლო მონაცემებით, ატამბაევის სახლთან მომხდარი დაპირისპირების შედეგად დაიღუპა 1 სპეცრაზმელი და 52 ადამიანი დაშავდა. სპეცრაზმის პირველი ოპერაციისას გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტი დააკავეს, თუმცა მომხრეების წინააღმდეგობის გამო, ატამბაევის დაკავება ამ დროისთვის არ დასტურდება.

მოგვიანებით ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა ტელეკომპანია „აპრილის“ ეთერით მიმართვა გაავრცელა და სამართალდამცველებს მოუწოდა, არ წავიდნენ ხალხის ნების წინააღმდეგ. ატამბაევის დაკავების ოპერაციას ყირგიზეთის პრეზიდენტი, სოორონბაი ჟეენბეკოვი გამოეხმაურა და თქვა, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა უხეშად დაარღვია კონსტიტუცია და ქვეყნის კანონმდებლობა. ალმაზბეკ ატამბაევის სახლთან მომხდარ შეტაკებასთან დაკავშირებით, ყირგიზეთის გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. სპეცდანიშნულების რაზმმა ყირგიზეთის ყოფილი პრეზიდენტის დაკავების ოპერაცია 7 აგვისტოს დაიწყო. ალმაზბეკ ატამბაევს სასამართლოში მოწმის სახით გამოუცხადებლობაში და კორუფციაში ადანაშაულებენ.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9338; ევრო - 3.2806;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5628;
100 რუბლი - 4.5118; თურქული ლირა - 0.5349;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7276;
1000 სომხური დრამი - 6.1570.

ამინდი 9 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+13,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+31
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+16,	დღე	+34
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+33
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge